ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 7 დეკემბერი, 2016 | №290 (7215) | ფასი: 50 თეთრი

## „გიგა ბოკერიამ თავადაც არ იცის, რამდენი ქვეყნის აგენტია“



ადა მარშანია: „თუ ეფესბეს წარმოვადგენთ, რატომ ვართ პარლამენტში?“

გვ.3

6 დეკემბრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

შტეფან ცვაიგი

მოუთმენლობა გულისა

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



# გიორგი ვაშაძე: „მთავრობის შიგნით დაპირისპირებაა“



გვ.3 ვინ უნდა აგოს პასუხი იმაზე, რაც ხდება?!

## კვირიკაშვილი: „მთავრობას ერთიანი პოზიცია გვაქვს“



გუშინ, გვიან საღამოს, პრემიერმა კვირიკაშვილმა განცხადება გააკეთა, რომელშიც შემოსავლების მობილიზაციის გეგმაზე მთავრობაში ერთიანი პოზიციის არქონასთან დაკავშირებით ბრალდებებს დაუსაბუთებელი და აბსურდული უწოდა.

— მთავრობის შემოსავლების მობილიზაციის გეგმა, რომელიც ასახულია 2017 წლის ბიუჯეტში, შემუშავებულია მთელი სამთავრობო გუნდის მიერ. ეს არის მთელი სახელისუფლებო გუნდის შეთანხმებული პოზიცია, რომელიც ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების სწრაფად დაძლევასა და მომავალ განვითარებას ემსახურება.

მე, როგორც პრემიერ-მინისტრი, სრულად ვიღებ პასუხისმგებლობას ამ გეგმის განხორციელებაზე. მიუხედავად მცდელობისა, ვერავინ შეძლებს, ხელი შეგვიშალოს ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რეფორმების გატარებაში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ხალხის კეთილდღეობისა და ქვეყნის სწრაფი განვითარებისკენ არის მიმართული, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

## 7-მა სამინისტრომ 9 თვეში პრემია-დანამატებზე 52 მილიონი დახარჯა



თბილისის მერია რესტორნებში თვეში 47.000 ლარს ხარჯავს გვ.2

## „ბაქრაძის ნაციონალების თავმჯდომარედ არჩევა სააკაშვილს გააღიზიანებს“



გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ნაციონალების რეიტინგის დიდი ნაწილი სააკაშვილის რეიტინგია“

## კვიციანმა სესიაშვილს კინაღამ კონფერენცია ჩაუშალა



გვ.4

„საქართველოში პრეზენტაცია ინგლისურ ენაზე არ უნდა იყოს“



ISSN 1987-9385

## სუსში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე საიმონ ლემანჟესთან შეხვედრა გაიმართა



გვ.4

# „ბაქრაძის ნაციონალების თავმჯდომარედ არჩევა სააკაშვილს გაალიზიანებს“

## თორნიკე შარაშენიძე: „ნაციონალების რეიტინგის დიდი ნაწილი სააკაშვილის რეიტინგია“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობაში მიმდინარე პროცესები არც ერთ მხარეს აწყობს. მისი აზრით, ბევრი რამე 20 იანვარს, პარტიის ყრილობაზე გაირკვევა.**



***– ბატონო თორნიკე, ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე მოვლენებს როგორ აფასებთ? შესაძლებელია თუ არა, რომ პარტია ორად გაიხლიჩოს და როგორც დავით დარჩიაშვილმა განაცხადა, პროცესები რევოლუციური მიმართულებით განვითარდეს?***

– სიმართლე გითხრათ, მიკვირს ის ყველაფერი, რაც დღეს ნაციონალურ მოძრაობაში ხდება. შიგნით რა ხდება, ამაზე ოფიციალური ინფორმაცია არ მაქვს და ეს მხოლოდ მათ იციან. რამ გამოიწვია ეს ყველაფერი, რეალურად რა გახდა ამ მოვლენების განვითარების მიზეზი? გარედან რეალურ მიზეზებზე საუბარი რთულია, თუმცა, გასაკვირია ეს ყველაფერი.

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ რაც დღეს ნაციონალურ მოძრაობაში ხდება, ეს მათ არაფერში წაადგებათ. სამომავლოდ ეს ყველაფერი ნეგატიურად აისახება პარტიაზე და მის რეიტინგზე. შეუძლებელია, რომ ამ პროცესებმა ასახვა არ ჰპოვოს თავად პარტიაზე, მის მომავალზე და უკვალოდ გაიაროს.

ნაციონალური მოძრაობის რეიტინგის დიდი ნაწილი, ნახევარზე მეტი, სააკაშვილის რეიტინგია. თუ პარტია ორ ნაწილად გაიყოფა, მაშინ ცხადია, რომ სააკაშვილის გარეშე დარჩენილებს რეიტინგი დააკლდებათ.

***– სააკაშვილს?***

– სააკაშვილს კი პარტიული ინფრასტრუქტურა დააკლდება. ამდენად, ორივე შემთხვევაში ორივე მხარე წაგებული რჩება.

***– მიხეილ სააკაშვილი თავის პოლიტიკურ მომავალს კვლავ ქართულ პოლიტიკას უკავშირებს?***

– ბუნებრივია, რომ უკავშირებს.

***– თუ მან უკვე ამოწურა ყოველგვარი შესაძლებლობები?***

– არა, ის ასე ნამდვილად არ ფიქრობს. ცხადია, რომ უკავშირებს და ყველა მისი საგარეო მოქმედება, მისი უკრაინის პოლიტიკურ პროცესებში აქტიურობა, სწორედ ამით არის განპირობებული. მას სურს, რომ ამ საგარეო მოქმედებით შეინარჩუნოს აქტუალობა, მოიპოვოს გარკვეული დივიდენდები, რათა კვლავ დაუბრუნდეს ქართულ პოლიტიკას, არა როგორც დამარცხებული, არამედ, როგორც გამარჯვებული.

შესაბამისად, ის პროცესები, რაც ახლა ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარეობს, მას არ აწყობს. თავის მიერ დაფუძნებული პარტიიდან გაშვება თუ გადარჩევა მას არანაირად არ აწყობს. ამიტომ ის ყველაფერს გააკეთებს, რომ არ ჰქონდეს დამარცხებულის სტატუსი. სააკაშვილისნაირი ადამიანები ასე მარტივად არ ნებდებიან და არ მიდიან პოლიტიკიდან.

***– კახიძე ფეისბუქის გვერდზე წერდა, რომ ახალაიების კლანი ჩაიგდებს პარტიას ხელში და ამით დასრულდება ყველაფერი. რამდენად რეალურია, რომ მოვლენები სწორედ ასე განვითარდეს?***

– ახალაია, როგორც ჩანს, ბუას როლში ჰყავთ, მათ შორის ნაციონალური მოძრაობის შიგნითაც, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს. ამით აშინებენ დანარჩენებს, რომ თუ არ დამშვიდდებით, ახალაიას კლანი მოვა და ჩაიგდებს პარტიას ხელშიო.

***– მართლაც შეიძლება ასე იყოს?***

– არა მგონია, რომ ეს რეალური იყოს. ახალაიას კლანი გასაგებია, ვინც არის, თუმცა იმ ადამიანებს არ აქვთ ისეთი გავლენა და რესურსი, როგორიც, მაგალითად, გიგა ბოკერიას ან მიხეილ სააკაშვილს აქვთ.

***– 20 იანვარს არის ნაციონალური მოძრაობის ფართომასშტაბიანი ყრილობა. როგორ განვითარდება მოვლენები? შეიძლება კვლავ ვაკანტური დარჩეს თავმჯდომარის პოსტი?***

– მიხეილ სააკაშვილი არ არის პარტიის თავმჯდომარე. სააკაშვილს არ აქვს თავმჯდომარის პოსტზე ყოფნის იურიდიული უფლება და შესაძლებლობა. მიხეილ სააკაშვილი დღეს ნაციონალურ მოძრაობაში არის მხოლოდ ფორმალურად. დღეს ითვლება, რომ სააკაშვილი არის პარტიის სულისჩამდგმელი და ლიდერი. ამაშია საქმე. ამიტომ სხვა თავმჯდომარის არჩევა მას გაალიზიანებს.

***– ვინც უნდა იყოს?***

– ცხადია, ვინც უნდა იყოს. სააკაშვილი იმ ტიპის ლიდერია, რომელიც ვერ გუობს სხვის ლიდერობას და წინ წამოწევას. სწორედ ამით არის მთელი ეს აჟიოტაჟი გამოწვეული. მაგალითად, დავით ბაქრაძის არჩევა სააკაშვილს გაალიზიანებს და ამას ვერ შეეგუება.

***– ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა უკეთესია, განერიდოს წარსულს, ჩამოიშოროს სააკაშვილი, ის სახეები, რომლებიც დანაშაულთან ასოცირდებიან და ახალი გუნდი, რომელიც პარლამენტში შევიდა, მეტ დივიდენდს მოუტანს პარტიას. ეს არ არის რეალური არგუმენტი?***

– ამ არგუმენტში არის რაღაც სიმართლის მარცვალი, მაგრამ რეალობა ასევე არის ის, რომ რეიტინგის ნახევარზე მეტი, რომელიც დღეს აქვს ნაციონალურ მოძრაობას, კვლავაც სააკაშვილის დამსახურებაა. ეს არის რეალობა და ამას მეორე მხარე ვერ გაექცევა. თუ ნაციონალური მოძრაობა მოახერხებს, რომ ოთხი წლის განმავლობაში თანდათან ჩამოიშოროს სააკაშვილი, ყოველგვარი ხმაურის გარეშე და თან რეიტინგიც შეინარჩუნოს, მაშინ კი, მეც დავეთანხმები ამ არგუმენტს, მაგრამ ეს ასეთი მარტივი არ იქნება, მერწმუნეთ.

***– ბოკერიას თამაშია ეს ყველაფერი? და თუ ეს ასეა, რამდენად შეძლებს ამის განხორციელებას?***

– არ ვიცი, ვისი თამაშია, მაგრამ, ბუნებრივია, რომ ბოკერია გამოიკვეთა, როგორც ერთ-ერთი ფრთის ლიდერი. გიგა ბოკერია არის ძალიან ჭკვიანი ადამიანი, ჭკვიანი პოლიტიკოსი, მაგრამ მას აქვს ამავდროულად ერთი პრობლემა – ის არ არის პოპულარული, მასობრივი ლიდერი.

***– გამოდის, ბრძოლა არის სააკაშვილსა და ბოკერიას შორის, თუ ვინ გაიმარჯვებს, ეს 20 იანვარს გამოჩნდება?***

– ვერ გეტყვით, მართალი გითხრათ, არ ვიცი, რამდენად უკომპრომისოა ეს ბრძოლა. ჯერჯერობით ეს ასე ცხადად არ ჩანს. ბევრი რამე 20 იანვარს, ყრილობაზე გამოჩნდება.

შორენა მარსაგიშვილი

# 7-მა სამინისტრომ 9 თვეში პრემია-დანამატებზე 52 მილიონი დახარჯა

## თბილისის მერია რესტორნებში თვეში 47.000 ლარს ხარჯავს



ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალური ვითარების მიუხედავად, ხელისუფლება თავს კარგად გრძნობს. მთავრობამ არაერთხელ დადო ქამრების შემოჭერის პირობა, მაგრამ ცდუნებას ვერცერთხელ ვერ გაუძლო.

მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ სახელმწიფო უწყებებიდან გამოითხოვა ოფიციალური ინფორმაცია. ოფიციალური დოკუმენტებით ირკვევა, რომ შვიდმა სამინისტრომ 9 თვის განმავლობაში პრემია-დანამატებზე 52 მილიონი დახარჯა.

საუბარია ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, განათლების, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, შინაგან საქმეთა და დიასპორის სამინისტროებზე.

„მედიატორის“ თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი ბიძინაშვილის განცხადებით, 9 თვეში 7 სამინისტროში სამივლინებო და წარმომადგენლობითმა ხარჯმა 5.113.327 ლარი შეადგინა.

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 9 თვის განმავლობაში მხოლოდ შტატიანი 221 თანამშრომლისთვის გაცემულმა ხელფასმა, რომელშიც მინისტრისა და მისი მოადგილეების თანამდებობრივი სარგოც შედის, 2.839. 968 ლარი შეადგინა, 120 უშტატო თანამშრომლის ხელფასი კი 1.297.342 ლარით განისაზღვრა. ამას ემატება 120 უშტატო თანამშრომლისთვის მიცემული პრემია, რომელიც, სამინისტროს ინფორმაციით, 463.514 ლარს შეადგენს.

რაც შეეხება სამივლინებო და წარმომადგენლობით ხარჯს, სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით დახარჯული თანხის ოდენობა საჯარო ინფორმაციაში დასახელებული არ არის, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში „მედიატორის“ თავმჯდომარის მოადგილემ.

დიმიტრი ბიძინაშვილის ინფორმაციით, ენერგეტიკის სამინისტრომ 9 თვეში პრემია-დანამატებზე 777.559 ლარი დახარჯა. აქედან პრემიაზე 116.250 ლარი წავიდა, დანამატებზე კი – 661.309. სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯი 147.554 ლარით განისაზღვრა.

ინფრასტრუქტურის სამინისტროში პრემია-დანამატებზე 1.101.433 ლარი დაიხარჯა. აქედან პრემიაზე 503.120 დაიხარჯა, დანამატზე – 598.313. სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯი 60.478 ლარით განისაზღვრა.

პრემია-დანამატების გარეშე არც დავით სერგეენკოს უწყება დარჩენილა. ჯანდაცვის სამინისტროში 9 თვის განმავლობაში პრემია-დანამატის სახით 1.086.760 ლარი გაიცა. აქედან პრემიაზე 819.705 დაიხარჯა, დანამატზე – 267.055 ლარი.

სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის 145.478 ლარი გამოიყო.

დიმიტრი ბიძინაშვილის განცხადებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროდან პრემია-დანამატებზე ინფორმაცია არ მოვიდა, სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯი კი 523.120 ლარით განისაზღვრა.

დიასპორის სამინისტრომ პრემია-დანამატებისთვის 266.758 ლარი დახარჯა. აქედან

პრემია – 199.658, ხოლო დანამატი – 27.100.

სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯებისთვის 169.465 გამოიყო.

ყველაზე სერიოზული შედეგი შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს. 9 თვის განმავლობაში აქ პრემია-დანამატებზე 47.046.347 ლარი დაიხარჯა. პრემია 4.624.486 ლარით არის განსაზღვრული, დანამატი – 42.421.861 ლარით.

სამივლინებო და წარმომადგენლობითმა ხარჯმა 4.067.232 შეადგინა.

კვლევის შედეგებით „მედიატორის“ თავმჯდომარის მოადგილე გაოგნებულია. ის ორგანიზაციის სახელით ხელისუფლებასაც მიმართავს და პრემია-დანამატების გაცემის აკრძალვას კანონის დონეზე ითხოვს.

– უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ არ არსებობს რეგულაციები პრემია-დანამატების გაცემის შესახებ. მიუხედავად მთავრობის დეკლარირებული ქამრების შემოჭერის პოლიტიკისა, ეს კვლევა ცხადყოფს, რომ ჩინოვნიკების მადას ბოლო არ უჩანს. მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობისა, სამთავრობო ხარჯები არ იკლებს.

ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია გამოდის ინიციატივით, რომელსაც უახლოეს მომავალში წარვადგენთ საქართველოს პარლამენტში, რათა ამ მიმართულებით მოხდეს ჩანაწერის გაკეთება საკანონმდებლო დონეზე. უაპელაციოდ და უმიზეზოდ პრემია– დანამატის გამოწერა ისჯებოდეს კანონით, როგორც საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში დიმიტრი ბიძინაშვილი.

მისი თქმით, ინიციატივა ხისტია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანს.

– უკანასკნელმა პერიოდმა გვანახა, რომ სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ გვაქვს. მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებისა, მიუხედავად აუდიტის სამსახურის დასკვნებისა, მიუხედავად მთავრობის დეკლარირებული პოზიციისა, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ იდგმება. სხვა არაფერი დაგვრჩენია, გარდა ხისტი საკანონმდებლო ინიციატივისა, რომელიც საკანონმდებლო დონეზე პრემია დანამატების-გაცემის გაცემას უზრუნველყოფს, – ამბობს „მედიატორის“ თავმჯდომარის მოადგილე.

ამ დღეებში მთელი საქართველო შეძრა თბილისის მერიის საოცარმა ინიციატივამ, რომელიც დახვეწილობის კურსებთან იყო დაკავშირებული.

ერთდღიანი დუმილის შემდეგ დედაქალაქის მერმა ამ საკითხზე განმარტებები გააკეთა და თქვა, რომ ისეთი არაფერი მომხდარა.

ნარმანიას განმარტებების პარალელურად, „მედიატორმა“ გამოაქვეყნა ოფიციალური ინფორმაცია, თუ რამდენს ხარჯავს ნარმანიას უწყება თვეში სარესტორნო მომსახურებაზე.

– დედაქალაქის მერიამ 2016 წლის იანვრიდან დღემდე სარესტორნო ხარჯებისთვის 513.318 ლარი გამოიყენა, რაც თვეში დაახლოებით 47.000 ლარამდეა.

რა გამოდის ახლა, მერიას 500.000 ლარზე მეტი რესტორანში ისე აქვს დახარჯული, რომ თანამშრომლებმა დანა-ჩანგლის ხმარება ვერ ისწავლეს და ამისთვის კიდევ ტენდერი გამოცხადდა, რომელიც მოსახლეობის ჯიბიდან უნდა დაფინანსდეს? აშკარაა, მერია დაგვცინის! – ამბობს ბიძინაშვილი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ვაშაძე: „მთავრობის შიგნით დაპირისპირებაა“




ნონა ცაბაძე

**„ახალი საქართველოს" ლიდერი გიორგი ვაშაძე ხელისუფლებას საგარეო კურსს უწუნებს და აცხადებს, რომ ჩვენს ქვეყანას საგარეო უწყება არ ჰყავს. თუ რა პრობლემებია საგარეო და საშინაო პოლიტიკის კუთხით, არსებობს თუ არა დაპირისპირება კვირიკაშვილსა და ქუმსიშვილს შორის, ამის თაობაზე გიორგი ვაშაძე „ახალ თაობას" ესაუბრება.**

***– ბატონო გიორგი, რას უწუნებთ ჩვენს საგარეო უწყებას? რას ვერ გაართვა თავი?***

– რამდენიმე დღის წინ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება და მომავალი საბიუჯეტო წლის მანძილზე პენტაგონს აუკრძალა სამხედრო თანამშრომლობა რუსეთთან და ბიუჯეტიდან სახსრების ხარჯვა, სანამ უკრაინის დეოკუპაციის კუთხით არ იქნება მნიშვნელოვანი პროგრესი. ანუ რუსული მხარე სანამ არ შეასრულებს ვალდებულებებს.

***– და საქართველო ნახსენები არ არის?***

– რა თქმა უნდა, არ არის! საქართველო ნახსენებია სხვა ქვეყნებთან ერთად, სამხედრო თანამშრომლობის კუთხით, სადაც მადლობას გვიხდიან სხვადასხვა საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობის კუთხით.

***– რას ნიშნავს?***

– ეს ნიშნავს იმას, რომ ფაქტობრივად მთლიანად გაჩერებულია დიპლომატიის მუშაობა. არ ვიცი, საერთოდ რას აკეთებენ. მე მოვთხოვე საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ განმარტება გააკეთოს, თუ რა სამუშაოები გაატარეს. რა გააკეთეს იმისთვის, რომ ეს ყველაფერი არ მომხდარიყო და საქართველოც ყოფილიყო შეტანილი ამ მუხლებში. აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

***– რომელ საკითხს გულისხმობთ?***

– იმას, რომ უკრაინასთან ერთად უნდა იყოს დეოკუპაციის სტრატეგია. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ ჩვენ არ გავქრეთ საერთაშორისო განხილვებიდან რუსეთთან დაკავშირებით. შემდეგ რთული იქნება ამ ყველაფრის ამოწევა. თუ ვერ ახერხებენ უკრაინასთან კონტაქტს, მე შემიძლია მივეხმარო. გამოდის, რომ არ გვყავს საგარეო უწყება, როცა ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის ჩავარდნა მოხდება. ეს მარტივი დოკუმენტი არ არის. უკრაინისთვის ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც მიიღო კონგრესმა.

***– საქართველოს ტერიტორიები რომ ოკუპირებულია, ეს ინფორმაცია ისედაც ხომ აქვს ამერიკის კონგრესს. რატომ არ იყო ნახსენები საქართველო? იმიტომ, რომ არ იმუშავა ელჩმა?***

– რა თქმა უნდა! შენ თუ არ დააყენებ შენი ინტერესების დაცვის საკითხს, შენ თუ არ მოახდენ ლობირებას და თავად თუ არ იმუშავებ, ნურავის ჰგონია, რომ დასავლეთი დღე და ღამე საქართველოზე ფიქრობს. შენს ინტერესებს სხვა შენ ნაცვლად არ დაიცავს. აქტიურად რომ ემუშავათ ამ კუთხით, საქართველოზეც მოხდებოდა ჩანაწერი.

***– უკრაინასთან ურთიერთობები ახსენეთ და ფიქრობთ, რომ არ არის სა?ანადო ურთიერთობები უკრაინასა და საქართველოს შორის?***

– მე აქტიურად ვთანამშრომლობ უკრაინის ხელისუფლების ყველა შტოს?ან, ახლაც იქიდან ჩამოვედი და პირდაპირ გეტყვით, იქ საქართველოს ხელისუფლება არ ჩანს. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა და სერიოზული შეცდომა, რასაც უშვებს საქართველოს მთავრობა. როგორც მინიმუმ, ეკონომიკური კუთხით და დეოკუპაციის კუთხით აუცილებლად უნდა იყოს თანამშრომლობა საქართველო-უკრაინას შორის.

***– რა არის ამ ართანამშრომლობის თუ გაბუტვის მიზეზი? სააკაშვილის ფაქტორი?***

– სააკაშვილის ფაქტორი უკვე მოხსნილია. სააკაშვილი უკრაინაში ოპოზიციაშია. უკრაინის ხელისუფლების და სააკაშვილის ინტერესები არ ემთხვევა ერთმანეთს. ისევ და ისევ უნიათობა, სიზარმაცე და არაპროფესიონალიზმია ყველაფრის თავი და თავი. რაც ჩვენმა ხელისუფლებამ ეკონომიკურ ინიციატივებთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთა, არ ვიცი, ამას რა დავარქვა. ეს უკვე სრული კრეტინიზმია!

***– რომელი ინიციატივა არ მოგეწონათ?***

– რომელი უნდა მომწონებოდა?! ასეთი გაუთვლელი და არასწორი ინიციატივები არასდროს მსმენია! ეს ხდება იმის გამო, რომ სრული არაკომპეტენტურობაა ჩვენს ხელისუფლებაში. ეს ინიციატივები, რითაც გამოვიდნენ, კრედიტების გადაფარვა და ასე შემდეგ, ეს განცხადება იყო ხელისუფლების მხრიდან, რომ ლარი მოკვდა! რომ ლარი არის გაუბედურებული!

***– თქვენ ასე გაიგეთ?***

– ციფრების ანგარიში და წაკითხვა თუ ეზარება ფინანსთა მინისტრს, პატარა ზღაპრებით სტატიებია ეკონომიკის თეორიაში და ის მაინც წაიკითხოს და გაიგოს, რომ ხელისუფლების განცხადებები ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს ნებისმიერ მის მოქალაქესა და ბიზნესზე.

ზუსტად ეს მოხდა. ახალი გეგმა წარმოგვიდგინეს, ვითომდა საქართველოს ეკონომიკის გადარჩენის. საბოლოო ჯამში კი, ჩვენ ვნახეთ, რომ ორ დღეში კიდევ უფრო გავღარიბდით თითოეული ჩვენგანი. ერთი კვირა გავიდა უკვე მას შემდეგ და ვერაფრით ლარის კურსი ვერ სტაბილურდება. გუშინ მე თვითონ მჭირდებოდა კრედიტის დასაფარად დოლარის შეძენა და სხვაობა კატასტროფა იყო! სხვაობა კურსებს შორის ყოველ წამში იცვლებოდა. დავრეკე, სხვა კურსი იყო და სანამ მივედი, სხვა კურსი დამხვდა. სრული უბედურება და ქაოსია სავალუტო ბაზარზე!

მეხუთეკლასელი ბავშვები გვყავს ხელისუფლებაში. განსაკუთრებით, ეკონომიკურ გუნდში! ჩემი ინფორმაციით, ამ ინიციატივების ავტორი არის ქუმსიშვილი. ეკონომიკა ხომ აგვიყვავა და ახლა უნდა, რომ ფინანსები აგვიყვავოს. ასევე მაქვს კულუარული ინფორმაცია, რომ სერიოზული დაპირისპირებაა მთავრობის შიგნით.

***– ვის და ვის შორის?***

– კვირიკაშვილსა და ქუმსიშვილს შორის. ვიღაცამ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ამ ყველაფერზე. სწორედ ამიტომ გაჩნდა დაპირისპირება ქუმსიშვილის და კვირიკაშვილის გუნდებს შორის, რომლებიც ერთმანეთზე გადაბრალებით არიან დაკავებულები.

***– დანარჩენ ინიციატივებზე რას იტყვით, ლარიზაციაზე და ასე შემდეგ?***

– ლარიზაცია ნიშნავს იმას, რომ მსხვილ ინვესტორებს ეუბნებიან, არ შემოხვიდეთ უძრავი ქონების ბაზარზე ან სხვა მიმართულებებით. იმიტომ, რომ მათთვის ძალიან რთული იქნება შენი დაუბალანსებელი, გაუგებარი პოლიტიკიდან გამომდინარე, რატომ უნდა გააკეთოს ინვესტირება ლარით. ან სასტუმროს ნომრის დაჯავშნა რომ უნდა უცხოელს და მხოლოდ ლარი რომ იქნება მითითებული, ხომ ვერასდროს გაიგებს ტურისტი, რა ღირს ნომერი. ძალიან კურიოზულ სიტუაციამდე მივდივართ.

***– სულ მოჰყავთ შედარებები სააკაშვილის მმართველობის პერიოდთან, მას რატომ არ გაექცა ლარიო. თუმცა იქვე ისმის განცხადებები, რომ მას დონორი ორგანიზაციები შველოდნენ, რომ შემოდიოდა სერიოზული გრანტები და ასე შემდეგ. რა ხდებოდა მაშინ, როგორ შეძელით ლარის დაჭერა?***

– თუ სავალუტო ფონდზეა საუბარი, სავალუტო ფონდი ფინანსურ დახმარებას და მხარდაჭერას ახლაც აძლევს საქართველოს. უბრალოდ მაქვს ინფორმაცია, რომ ამ გაუთვლელი ნაბიჯების გამო, ძალიან გართულდა მათი საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობა. ძალიან რთული სიტუაციაა. მათთვისაც წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ქვეყანას ჰყავდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც თვითონვე ანგრევს ქვეყნის ეკონომიკას.

არც დღეს არის პრობლემა ვალის აღება და კრედიტების გამოყოფა, მაგრამ მსოფლიო ბანკი რომ ფულს გამოგიყოფს, მაგალითად, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და შენ რომ ამ ფულს ვერ აითვისებ, ხელის გაშვერა საერთაშორისო სავალუტო ფინანსური ინსტიტუტებისკენ, უბრალოდ, სასაცილოა.

***– ანუ ხელისუფლების შიგნით გვაქვს კრიზისი?***

– პირველი არის იდეების ნაკლებობა, მეორე არის აუტანელი სიზარმაცე, ტვინის განძრევაც აღარ უნდათ. მრჩება შეგრძნება, რომ ეს ხალხი ამას არ აღიქვამს, როგორც თავის საქმეს. რასაც აკეთებ, ის საქმე თუ არ გიყვარს, შედეგზე ვერასდროს გახვალ.

დღეს საქართველოს სჭირდება ახალი მეგაპროექტები, საინვესტიციო ბაზრები უნდა გახსნან, ესენი კი რას აკეთებენ?! სხედან კაბინეტებში და მიჰყვებიან დინებას. მერე ვიღაცას მოუვა ასეთი უაზრო იდეები, გამოვლენ და პასუხი ვინ უნდა აგოს? რა თქმა უნდა, ჩვენ, მოსახლეობამ! ბენზინის გაძვირებას რომ აპირებენ, მე არ ვიცი, რომელ ქვეყანაში ნახეს მსგავსი რამ.

***– საწვავზე უკვე მოიმატა ფასმა.***

– მოიმატებდა, რა თქმა უნდა. აქციზის გადასახადს რომ გაგიძვირებენ, აწევ ფასს, აბა რას იზამ?! სად ნახეს ასეთი ინიციატივა, რომელ ქვეყანაში, რომ ასეთ ვითარებაში, რაც დღეს საქართველოშია, მთავრობა გამოდის და ამბობს, საწვავზე ფასი უნდა გავაძვიროო.

# „გიგა ბოკერიამ თავადაც არ იცის, რამდენი ქვეყნის აგენტია“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ არ მოსწონს პატრიოტთა ალიანსს ბიუჯეტის პროექტი, რას ფიქრობენ ოკუპაციის შესახებ კანონზე, რა მასალების წარდგენას ითხოვენ ისინი ნაციონალური მოძრაობისგან? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ადა მარშანია ესაუბრება.**



## ადა მარშანია: „თუ ეფესბეს წარმოვადგენთ, რატომ ვართ პარლამენტში?“

***– თქვენი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა განაცხადა, რომ პატრიოტთა ალიანსი 2017 წლის ბიუჯეტის პროექტს მხარს არ დაუჭერს. რატომ არ მოგწონთ ბიუჯეტის პროექტი?***

– ირმა ინაშვილმა თქვა, სავარაუდოდ, არ დავუჭერთ მხარსო. საბოლოო გადაწყვეტილებას მას შემდეგ მივიღებთ, როცა პროექტს მთლიანად გავეცნობით. რაც აქამდე ვნახეთ, მოსაწონი ნამდვილად არ არის და, სავარაუდოდ, ჩვენს მხარდაჭერას ვერ მიიღებენ.

ჩვენ არც დღევანდელი მთავრობის შემადგენლობა და მისი პროგრამა მოგვწონს. ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ ისინი არსებულ პრობლემებს ვერ გაუმკლავდებიან. პირველ რიგში, პატრიოტთა ალიანსს მოსახლეობის გადარჩენა გვაინტერესებს. ხალხი ძალიან მძიმე დღეშია.

ხელისუფლება ამბობს, რომ აქვს უმუშევრობის პრობლემის მოგვარების ამბიციური გეგმა. ჩვენ გადავხედეთ ამ დოკუმენტს და ბევრი ვერაფერი დავინახეთ. მოკლედ რომ გითხრათ, ეს გეგმა პირდაპირ სატირალია.

ადამიანების გადარჩენა უმთავრესია, მაგრამ არც ის უნდა დაივიწყოს ხელისუფლებამ, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენია. ამ საკითხზე სერიოზულად უნდა დაიწყოს ხელისუფლებამ მუშაობა.

***– ამ მიმართულებით არაფერს აკეთებენ?***

– შეიძლება აკეთებენ, მაგრამ ეს თვალსაჩინო არ არის და არც რაიმე გავლენას ახდენს. არადა, აფხაზეთში საშინელება ხდება. თუ ახლავე არ ვიღონეთ რამე, ხვალ შეიძლება დაგვიანებული იყოს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, იქ საშინელი ცვლილებები ხდება. ამ მომენტისთვის მხოლოდ ერთ მაგალითს დაგისახელებთ – აფხაზეთში ხელოვნურად არის შეცვლილი დემოგრაფიული სურათი. მომავალში ეს სურათი კიდევ უფრო ცუდი იქნება.

ვის სასარგებლოდ იცვლება დემოგრაფიული სურათი, ამას ახლა არ დაგიკონკრეტებთ. ჩვენ მიერ გაკეთებულ ნებისმიერ განცხადებას არაჯანსაღი რეაქციები მოსდევს, მაგრამ გამუდმებით ჩუმად ვერ ვიქნებით. თავის მოტყუებას სჯობია ვთქვათ, რაც სინამდვილეში ხდება.

გალი გამოცხადდა სამხედრო ქალაქად და იქ კატასტროფა ხდება, ხელისუფლება კი ამას არაფერს უპირისპირებს. ყველა თემაზე აშშ-ის განცხადებას ხომ არ უნდა ველოდოთ? კარგია, რომ ამერიკა განცხადებებით მხარს გვიჭერს, მაგრამ საშინაო დავალებებს ჩვენ ნაცვლად სხვა ვერ შეასრულებს.

მთავრობის გარდა, საშინაო დავალებების შესრულებაში საზოგადოებაც უნდა იყოს ჩართული. სამწუხაროდ, ხალხს ამისთვის უკვე აღარ სცალია. ადამიანები ყოველდღიური გაუსაძლისი პრობლემებით გადაღლილები არიან. ამიტომაც ვამბობდი, რომ ბიუჯეტი ხალხის გადარჩენაზე უნდა იყოს მორგებული.

***– ამ დღეებში პარლამენტში ოკუპაციის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანაზე დაიწყო საუბარი. ამ ცვლილებებთან დაკავშირებით დადებითი პოზიცია თქვენი პარტიის წარმომადგენელმაც გამოხატა. თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ ამ ცვლილებებზე საუბარი ეფესბეს დავალებით დაიწყეთ.***

– ვაიმე! სასაცილოა ეს ბრალდებები. 2008 წლის აგვისტოს კოდორისა და ახალგორის ჩაბარება ნეტავი ვისი გეგმა იყო?! ამ გეგმის შემსრულებლები ახლა პარლამენტში სხედან.

რაც შეეხება თავად კანონში შესატან ცვლილებებს, ამის შესახებ განცხადება ჩვენი პარტიის მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა გააკეთა. მთელ პარტიასაც რომ გაგვეკეთებინა განცხადება, ამით დაშავდებოდა რამე? ან წინასწარ საიდან იციან, რა ცვლილებებს ვუჭერთ მხარს.

ეს კანონი 2008 წლის 23 ოქტომბერს სააკაშვილის დავალებით იქნა მიღებული. ყველაფერი ნაჩქარევად გაკეთდა და, ცუდი არ იქნებოდა, თუ პარლამენტი კიდევ ერთხელ გაივლიდა ამ კანონს.

***– კიდევ ერთხელ რატომ უნდა გაიაროს პარლამენტმა ეს კანონი?***

– უნდა გავაანალიზოთ, რა შეიცვალა 2008 წლის შემდეგ. უნდა ავწონ-დავწონოთ, რაში გვეხმარება და რაში – არა ეს დოკუმენტი. რაღაც მომენტებს ჰუმანიზაცია უნდა გავუკეთოთ, რაღაც მომენტები უნდა გავამკაცროთ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კვიციანმა სესიაშვილს კინაღამ კონფერენცია ჩაუშალა

შორენა მარსაგიშვილი

**პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი გუშინ, 6 დეკემბერს, მაგარ შარში გაეხვია.**





## „საქართველოში პრეზენტაცია ინგლისურ ენაზე არ უნდა იყოს“

საკანონმდებლო ორგანოში კონფერენცია „თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა საქართველოში“ გაიმართა.

ამ ღონისძიებას უცხოელი სტუმრებიც ესწრებოდნენ, ამიტომაც პრეზენტაცია ინგლისურ ენაზე წარიმართა. ამ ფაქტმა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი, პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ემზარ კვიციანი აღაშფოთა.

დეპუტატის მტკიცებით, საქართველოში ყველა პრეზენტაცია სახელმწიფო ენაზე უნდა გაიმართოს.

– პრეზენტაცია იყო, რომელიც არა ქართულ, არამედ ინგლისურ ენაზე ჩატარდა, რაზეც მე პროტესტი გამიჩნდა. საქართველოში ყველა პრეზენტაცია ქართულ ენაზე უნდა ტარდებოდეს, – განუცხადა ჟურნალისტებს აღშფოთებულმა კვიციანმა.

კონფერენციაზე თავდაცვის საკითხებსა და თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტზეც იყო საუბარი. დეპუტატს ამ საკითხის შეფასება უჭირს, რადგან ბიუჯეტის პროექტს ჯერ კარგად არ იცნობს, სამაგიეროდ, კარგად იცის 10 წლის წინ კოდორში დატრიალებული ამბების დეტალები და ამ თემაზე საუბარი არც კონფერენციაზე დაიზარა. კერძოდ, მან კოდორის ხეობის დოკუმენტებზე გრიფით „საიდუმლოს“ მოხსნა და მათი გასაჯაროება მოითხოვა.

– საზოგადოებას უნდა ჰქონდეს წვდომა ამაზე, რომ გაირკვეს სიმართლე – რა მოხდა 2006 წელს და რისთვის იყო გაყიდული ჩვენი ტერიტორიები, რატომ გაგვწირა იმ პერიოდში ხელისუფლებამ და რაში გაცვალა იმ ხელისუფლებამ ხალხის თითქმის 90%-იანი სიყვარული. ამას უნდა აეხადოს ფარდა აუცილებლად და ამ თემებზე გრიფით „საიდუმლო“ უნდა იყოს მოხსნილი.

მე ვიცი, რომ კოდორის ხეობაში 2006-2008 წლებში მილიარდ 200 მილიონი ლარია ჩამოწერილი. ამის მერე თავისი თანხებიანად, შეიარაღებიანად და ხალხიანად ტერიტორია ჩააბარეს აფხაზებს, ანუ რუსებს. ამ ყველაფრის მერე ამ ადამიანებს აქვთ ნაგლობა, გამოვიდნენ, სხვისკენ გაიშვირონ თითი და პრორუსულები უწოდონ, – განაცხადა პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელმა.

მისმა მოთხოვნამ თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი გააოგნა და, სანამ კვიციანი კიდევ ახალ წინადადებას წამოაყენებდა, მას იდეა შესთავაზა.

სესიაშვილი ამბობს, რომ თუ კვიციანს რამე აქვს სათქმელი საზოგადოებისთვის, მას ამის გაკეთება თუნდაც პრესკონფერენციის მოწვევით შეუძლია.

– მე ვურჩევდი მას, თუკი აქვს დაუკმაყოფილებლობის განცდა, რომ საზოგადოებას ვერ მიაწოდა საკმარისი ინფორმაცია, ამის საშუალება თავადაც აქვს. მას შეუძლია, წერილობით ჩამოაყალიბოს, შეუძლია, პრესკონფერენცია მოიწვიოს, შეუძლია, თავის ადვოკატებთან ერთად საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია. მადლობა ღმერთს, მედია თავისუფალია და არავინ ზღუდავს მის სიტყვებს, – აღნიშნა შეშფოთებულმა სესიაშვილმა.

კვიციანთან დაკავშირებული შფოთვები მას, ალბათ, მომავალშიც შეაწუხებს, რადგან პატრიოტთა ალიანსი თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტს ითხოვს. ამ პოსტზე სწორედ სესიაშვილის თავის ტკივილის – ემზარ კვიციანის – კანდიდატურაა წარდგენილი.

კომიტეტის ნაციონალური ფრთა და მეოცნებეთა ნაწილი ამ კანდიდატურის წინააღმდეგია. მეოცნებეთა მეორე ნაწილს ნაციონალის არჩევა არ სურს მოადგილედ და ეს პოსტი დღემდე ვაკანტურია.

ნაციონალები ამბობენ, რომ არაფრით დაუშვებენ, კვიციანი მოადგილე გახდეს, ნდობის ჯგუფში შევიდეს და საიდუმლო დოკუმენტებზე ჰქონდეს წვდომა.

კვიციანი კი ამბობს, რომ სულაც არ სურს ნდობის ჯგუფის წევრობა და არც „სეკრეტები“ აინტერესებს. იმის გამო, რომ საიდუმლო მასალები არ იზიდავს, შესაძლოა, ამ ადგილზე პარტიიდან სხვა კანდიდატურას დაუჭიროს მხარი.

– ნდობის ჯგუფში და საერთოდ ნდობაში ადამიანთანაც არ მომწონს შესვლა, არ მაინტერესებს ის შენი საიდუმლოებები, არც სხვა საიდუმლოებები მაინტერესებს. ეს არც ადრე მაინტერესებდა და ადრეც არ ვიყავი დაშვებული საიდუმლო მასალებთან, მიუხედავად იმისა, რომ მიმართულების სარდალი და გუბერნატორი ვიყავი. რატომ არ მიშვებდნენ მაშინ? იმიტომ, რომ თვალს მოვკრავდი იმას, როგორ აპირებდნენ ჩვენი ტერიტორიების გასხვისებას და არ დავანებებდი, – განაცხადა დეპუტატმა.

ნდობის ჯგუფში, შესაძლოა, ირმა ინაშვილის კანდიდატურა იყოს წამოყენებული.

კვიციანი ამ ინფორმაციას ადასტურებს და ამბობს, რომ ინაშვილს მხარს დაუჭერს. რაც შეეხება თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეობას, დეპუტატი არ აკონკრეტებს, წამოაყენებენ თუ არა კიდევ ერთხელ მის კანდიდატურას.

– ჩემთვის პრინციპული იყო რეგიონული კომიტეტი და თავდაცვის კომიტეტი ნაკლებად მაინტერესებდა. რეგიონულ კომიტეტში რატომღაც ჩემმა წარდგენამ დააგვიანა. მე ვარ ადამიანი, რომელიც დიდხანს ვიცავდი ჩვენს ტერიტორიებს, ჩვენს ქვეყანას, ვიცავდი იმ რუსეთისგან, რომელსაც ნაციონალურმა მოძრაობამ ტერიტორიები ხონჩით გადასცა, – აღნიშნა დეპუტატმა ჟურნალისტებთან საუბარში.

## არჩილ თალაკვაძე: „პრეზიდენტის თანათავმჯდომარეობას კონსულტაციები გადაწყვეტს“



– იქნება თუ არა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საკონსტიტუციო კომისიის თანათავმჯდომარე, ამას კონსულტაციები გადაწყვეტს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ განუცხადა, რითაც შესაბამის საკითხზე დასმულ კითხვას უპასუხა.

როგორც თალაკვაძემ აღნიშნა, საკონსტიტუციო კომისიის ფორმატსა და საქმიანობასთან დაკავშირებით კონსულტაციები უკვე დაწყებულია და ის გონივრულ დროში დასრულდება.

– უნდა იყოს და იქნება კიდეც ჩართული საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში ყველა ის ინსტიტუტი, რომელსაც ეს პირდაპირ უკავშირდება და ასევე ყველა დაინტერესებული მხარე, რომელსაც შეუძლია რაღაც წვლილი შეიტანოს კომისიის მუშაობაში. ასევე ჩართული იქნება პრეზიდენტი, როგორც ინსტიტუტი, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

მისივე თქმით, პარლამენტის თავმჯდომარე არის ძალიან გამოცდილი კონსტიტუციონალისტი, რომელსაც აქვს მკაფიო და პროგრესული ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა წარიმართოს ამ სფეროში სამუშაო პროცესი.

**ინტერპრესნიუსი**

## „გიგა ბოკერიამ თავადაც არ იცის, რამდენი ქვეყნის აგენტია“



დასაწყისი მე-3 გვერდზე

ჩვენ არსად გვითქვამს, რომ ეს კანონი უნდა გაუქმდეს. პარლამენტში სულ 6 კაცით ვართ წარმოდგენილი, საბოლოო გადაწყვეტილებებს კი „ქართული ოცნება“ იღებს, რომელსაც პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს. ასე რომ, წინასწარ ნუ ნერვიულობენ, თუ მიუღებელი რამე იქნა, ნუ მიიღებენ. ისიც იცოდეთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს პარტიაში აზრთა სხვადასხვაობაა და რაღაცების დაბრალებას თავი დაანებონ.

ამ საკითხის ირგვლივ ხმაურის ატეხას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – ნაციონალებმა ყურით მოათრიეს თემა, თითქოს ჩვენ ეფესბეს მიერ კონტროლირებადი ძალა ვართ. მივმართავ ამ უნამუსოებს, თუ გაქვთ დამამტკიცებელი დოკუმენტები, პროკურატურაში წაიღეთ, რატომ გვიტანთ 6 აგენტს პარლამენტში?

სერიოზულად თუ შევხედავთ ამ ბრალდებას, უკვე ძალიან ნერვების მომშლელია. როგორ შეიძლება, გიგა ბოკერიამ ჩვენ ან პატრიოტობა გვასწავლოს, ან სამშობლოს სიყვარული.

## სააკაშვილი აეროპორტში იცხოვრებს თუ უკრაინის მოქალაქეობას ჩამოართმევენ



– თუ უკრაინის მოქალაქეობას ჩამომართმევენ, საერთაშორისო აეროპორტის სატრანზიტო ზონაში ვიცხოვრებ. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და ოდესის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა. სააკაშვილის თქმით, პრემიერ-მინისტრის პოსტი მის მიზანს არ წარმოადგენს. მას სურს, უკრაინაში პოლიტიკური თამაშის წესების შეცვლის პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილე იყოს.

– ჩემთვის თანამდებობა არ არის თვითმიზანი. ჩემი მიზანია ვიყო იქ, სადაც ყველაზე მეტად შევძლებ უკრაინაში ახალი პოლიტიკური კლასის ჩამოყალიბებაში დახმარების გაწევას, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სააკაშვილმა ასევე განაცხადა, რომ ის დარწმუნებულია, მის მიერ შექმნილი „ახალი ძალების მოძრაობა“ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მოიგებს.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი თვლის, რომ როგორც კი მის პოლიტიკურ ძალას რადაში „ძლიერი უმრავლესობა“ ექნება, ის ნებისმიერ კანონს მიიღებს.

– ჩვენ შევძლებთ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევასა და იმპიჩმენტის გამოცხადებას, – დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## სუსში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე საიმონ ლემანჟესთან შეხვედრა გაიმართა



ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით აშშ-ის მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გაუვრცელებლობის დარგში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილესთან გამართულ შეხვედრაზე.

მხარეებმა ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საქართველოს შესაძლებლობების განვითარებისა და საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები მიმოიხილეს.

შეხვედრას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორი, სპეციალურ დავალებათა სამსახურის უფროსი და აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა აშშ-ის წარმომადგენლებს სუსის, როგორც ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი უწყების მიერ ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საქართველოში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს და ქართული მხარის მიერ ქბრბ ნივთიერებებისა და მასალების უკანონო ბრუნის გამოვლენისა და აღკვეთის კონკრეტული ფაქტები განიხილეს.

– მე ჩამოვედი საქართველოში და გავმართე შეხვედრა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, რომელიც აშშ-ის მტკიცე პარტნიორია ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში. ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო შეხვედრა იყო, ჩვენი თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტზე ვისაუბრეთ.

საქართველო მნიშვნელოვანი ლიდერია როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების გავრცელებისა და ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ ძალიან ამაყები ვართ, რომ საქართველოსთან ვთანამშრომლობთ ამ საფრთხის წინააღმდეგ, – განაცხადა გაუვრცელებლობის დარგში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე საიმონ ლემანჟემ.

– შეხვედრის ფარგლებში ხაზი გაესვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლობას ბირთვული და რადიოლოგიური საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

ბატონმა საიმონ ლემანჟემ ხაზი გაუსვა საქართველოს, კერძოდ კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიღწეულ წარმატებებს აღნიშნულ სფეროში. საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, როგორც ქიმიური, რადიოლოგიური, ბირთვული და ბიოლოგიური საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო, მადლობას უხდის ამერიკულ მხარეს გაწეული დახმარებისა და მტკიცე მხარდაჭერისთვის, – განაცხადა საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა მანანა ბაღაშვილმა.

# „ხაჯიმბა უნდა გადადგეს“

## სოხუმში შეიარაღებულ სამოქალაქო დაპირისპირებაზე ალაპარაკდნენ

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა" წერს იმის შესახებ, რომ ოპოზიციური ძალების ბლოკმა საოკუპაციო რეჟიმის ლიდერ რაულ ხაჯიმბას გადადგომისკენ მოუწოდა. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ოპოზიცია 15 დეკემბერს დიდი სახალხო ყრილობის მოწვევით იმუქრება. სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, ასლან ბჟანიას დაკავებამ. იგი რუსეთის სამართალდამცავებმა ქალაქ სოჭში დააკავეს. მიუხედავად ამისა, ხაჯიმბას მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ ეს ხაჯიმბას დაკვეთით მოხდა.**

შექმნილ ვითარებას თითქმის ყველა უკიდურესად დაძაბულს უწოდებს. აფხაზეთში ბოლო დროს ხშირად იხსენებენ 2014 წლის მოვლენებს, რომლებსაც უკვე ღიად აფასებენ რევოლუციად და სახელმწიფო გადატრიალებად. ამ მოვლენებს ანქვაბის წასვლა, არჩევნები და ხაჯიმბას გაპრეზიდენტება მოჰყვა.

დე ფაქტო პრეზიდენტი მიმდინარე მოვლენების ანალიზისას მოკლე კომენტარით შემოიფარგლა. რაულ ხაჯიმბამ იმედი გამოთქვა, რომ სიტუაცია კონტროლქვეშ იქნება და არ გამოვა სამართლებრივი ველის ჩარჩოებიდან.

– წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნება რუსეთთან ერთობლივი ეკონომიკური გეგმების განხორციელება, – აღნიშნა მან.

შექმნილ ვითარებას სპეციალური დადგენილება მიუძღვნა აფხაზეთის პარლამენტმა.

საკანონმდებლო ორგანომ მოუწოდა ოპოზიციას, მკაცრად დაიცვას კანონმდებლობა და კონსტიტუციური წესრიგი. პარლამენტს მიაჩნია, რომ მისი ხელშეწყობით უნდა გაიმართოს კონსულტაციები აფხაზეთის ხელმძღვანელობასა და ოპოზიციურ ძალებს შორის. პარლამენტმა გამოთქვა მზადყოფნა, შეიმუშაოს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც გააძლიერებს სტაბილურობას და პოლიტიკურ სისტემას.

ხაჯიმბას გადადგომის აუცილებლობაზე საუბრობენ არა მარტო ოპოზიციური ძალების ბლოკის წარმომადგენლები, რომელშიც შედის პარტია ამცახარა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული მოღვაწეები, არამედ პარტია ედინაია აბზახიას აქტივისტები.

ეს ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია, რომლის თავმჯდომარეა სერგეი შამბა, მიიჩნევს, რომ ის არც სახელისუფლებოა და არც – ოპოზიციური. იგი არასდროს დაპირისპირებია ხაჯიმბას ხელისუფლებას. სერგეი შამბა აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ კომპრომისი უნდა მოძებნონ. ეს საჭიროა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისა და იმ ექსცესების თავიდან ასაცილებლად, რასაც მოჰყვება გაუთვალისწინებელი ნეგატიური შედეგი.

უფრო მკვეთრი პოზიციები აქვთ მის თანაპარტიელებს. პოლიტსაბჭოს წევრის, თეიმურაზ ხიშბას აზრით, მშვიდობისა და თანხმობის შესანარჩუნებლად რაულ ხაჯიმბა უნდა გადადგეს.

– უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რათა 15 დეკემბერს არ დაიშვას დაპირისპირება. 2004 წლის მოვლენები არ უნდა განმეორდეს, – ამბობს შამბას პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

თეიმურაზ ხიშბას თქმით, შეიარაღებული დაპირისპირების საფრთხე აფხაზეთში 2004 წელსაც არსებობდა, მაგრამ მაშინ სერგეი ბაღაფშის სიბრძნემ აფხაზეთს ეს საფრთხე თავიდან ააცილა. მაშინ დაინიშნა საპრეზიდენტო არჩევნები.

ხაჯიმბას ერთ-ერთ შეცდომად ხიშბა თვლის იმას, რომ მან უარი თქვა ოპონენტებთან თანამშრომლობაზე, მათ დანიშვნაზე სხვადასხვა თანამდებობაზე. ახლანდელი სიტუაცია კი ისეთია, რომ აფხაზეთი სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე დგას.

– არც ერთი სავარძელი არ ღირს რომელიმე ადამიანის სისხლის ერთ წვეთად, – ამბობს ედინაია აფხაზიას პოლიტსაბჭოს წევრი.

ამავე პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, დეპუტატ რობერტ აილიანის აზრით, აფხაზეთის საზოგადოებაში ხელისუფლებისა და ოპოზიციის მომხრეების საერთო რაოდენობა 10%-ს არ აღემატება, დანარჩენი 90% უტყვი უმრავლესობაა, რომელმაც შეიძლება თავისი სიტყვა თქვას.



– ხელისუფლებას მოუწევს დათმობებზე წასვლა ოპოზიციასთან, – ასკვნის აილიანი.

შეიარაღებული დაპირისპირების რეალურ საშიშროებაზე საუბრობს პოლიტსაბჭოს წევრი ზურაბ ქაჯაია:

– რატომ არ ვსაუბრობთ პრობლემებზე? ღმერთმა ნუ ქნას, რომ ადამიანები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ეს თუ მოხდა, პროცესები შეუქცევადი გახდება.

# ვახტანგ მაისაია: „ასლან ბჟანია პრორუსული პოლიტიკის მომხრეა“

გულიკო ბალაძე

**ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ აფხაზეთში მიმდინარე საოკუპაციო და პოლიტიკურ პროცესებს აანალიზებს.**

***– ბატონო ვახტანგ, თქვენი შეფასებით, როგორია აფხაზეთის საოკუპაციო და პოლიტიკური მდგომარეობა?***

– აფხაზეთში სიტუაცია რთულია და პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა.

***– პოლიტიკურ კრიზისში რას გულისხმობთ?***

– გაერთიანებული ოპოზიციის პარტიების ბლოკმა, რომლის ხელმძღვანელიც იყო ოპოზიციური პარტია ამცახარას ლიდერი ასლან ბჟანია, ულტიმატუმი წაუყენა რაულ ხაჯიმბას, 16 დეკემბრამდე გადადგეს თანამდებობიდან. შესაბამისად, წაყენებულია საკმაოდ სერიოზული ბრალდებები.

მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციის ძალოვანმა სტრუქტურებმა, როდესაც ბჟანია გადავიდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, დააპატიმრეს და დღემდე ის არის სოჭში. სიტუაცია ისეთია, როგორიც იყო ბოლოდროინდელი არჩევნები ცხინვალის რეგიონში, რომელშიც ძმები თედეევები მონაწილეობდნენ და ადგილი ჰქონდა გარკვეული ტიპის მეთოდებს რუსეთის ფედერაციის ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან.

***– აფხაზეთში დაძაბულობა გარედან ხელშეწყობით იქმნება თუ პროცესებს შიდა დუღილის ტემპერატურა განაპირობებს?***

– ძირითადად შიდა ძალების დაპირისპირებაა, რადგან ასლან ბჟანია ალექსანდრე ანქვაბის ხელისუფლების უშიშროების სამსახურის უფროსია, ასევე იყო პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელმაც ხაჯიმბასთან არჩევნები წააგო. ამდენად, საკმაოდ სოლიდური პოლიტიკური ძალის წარმომადგენელია.

ვერ ვიტყვით, რომ ასლან ბჟანიას პოლიტიკური ხედვები მაინცდამაინც ჩვენი მიმართულებისაა. ის პოზიცია, რომელიც ჰქონდა ალექსანდრე ანქვაბს საქართველოსთან დაკავშირებით, აშკარად არ გააჩნიათ ბჟანიასა და მის ჯგუფს.

***– ანუ ალექსანდრე ანქვაბის გავლენები არ არის?***

– ანქვაბის გავლენა ნაკლებადაა. ბჟანია უფრო პრორუსული პოლიტიკის მომხრეა. მას მიაჩნია, რომ უნდა დაიწყოს რუსეთის მოქალაქეებისთვის ქონების გაყიდვის პროცესი, უნდა გაიხსნას ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზა და მოხდეს აფხაზეთის დაკავშირება სომხეთთან და ირანთან. ბჟალია ასევე მხარს უჭერს „როსნეფტის“ შემოსვლას აფხაზეთის ტერიტორიაზე და ნავთობის საძიებო გეოლოგიური სამუშაოების დაწყებას.




***– ხაჯიმბა ეწინააღმდეგებოდა ყოველივე ამას?***

– ხაჯიმბამ რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთში ქონების მიყიდვისგან თავს იკავებდა. ამიტომაც ხაჯიმბა დაიბარეს მოსკოვში და არასასიამოვნო საუბარი ჰქონდა პუტინთან. მეორეც – პუტინმა გააფრთხილა აფხაზეთი, მათთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება, გარკვეულწილად, შეიზღუდება იმ ეკონომიკური სირთულეების გამო, რაც რუსეთში ამჟამად ვითარდება. ამიტომ სიტუაცია არის არაორდინარული და საინტერესო.

***– ბჟანიას უკან ვინ უდგას, მხოლოდ რუსეთის მხარდაჭერით არის ძლიერი თუ, ვთქვათ, აფხაზეთში არსებული უხუცესთა საბჭო და აფხაზი საზოგადოება უდგას მხარში?***

– სავარაუდოდ, ბჟანიას აფხაზი საზოგადოება მხარს უჭერს, რადგან ხაჯიმბას პოპულარობა საკმაოდ დაეცა. არ არის გამორიცხული, ხაჯიმბას მიმართ კრემლსაც ჰქონდეს სერიოზული კითხვები.

***– რატომ უნდა დაეჭირათ რუსებს ბჟანია?***

– ბჟანია მაინც უშიშროების თანამშრომელია. დიდი ეჭვი მაქვს, ბჟანია კავშირში იყო რუსეთის ძალოვნების დაჯგუფებასთან, რომლის წარმომადგენლები, პატრუშევი და სეჩინი უპირისპირდებოდნენ პუტინის ჯგუფს. ძალოვნების დაჯგუფება პუტინმა, ფაქტობრივად, უკანა პლანზე ჩააჩოჩა და საკმაოდ სერიოზული დარტყმა მიაყენა. შეიძლება, ეს ფაქტორიც არის, პუტინი თავს იზღვევს და არ უნდა, მოიყვანოს ის დაჯგუფება, რომლის წარმომადგენლები კავშირში იყვნენ მის ოპონენტებთან.

***– ე.ი. პუტინს უნდა, ხაჯიმბა შეაშინოს, თან უნდა, ფრთები არ გაშალოს ბჟანიამ?***

– დიახ.

***– ხაჯიმბამ კრიმინალური მდგომარეობის გამოსწორება რატომ ვერ შეძლო?***

– კორუფციაა გამეფებული და კადრების დიდი დეფიციტია.

***– რა ისეთი დიდი ტერიტორიაა სამართავად? თან გალი სამხედრო ქალაქია და იქ სამხედრო რეჟიმია.***

– გეთანხმებით. არ გამოვრიცხავ, სხვა საკითხებთან ერთად, კოალიციური ძალების შექმნა კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის გაზრდას უკავშირდებოდეს.

***– აფხაზებს მოსწონთ რუსული სამხედრო შენაერთის დამკვიდრება აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუნდაც გალში?***

– ამ მხრივ პრეტენზიები ხაჯიმბასთან არ არის. აფხაზეთის საზოგადოებაში გალში ერთობლივი სამხედრო შენაერთის ყოფნა აღქმულია ერთადერთ რეალურ ბარიერად, საქართველოსაგან თავდაცვის ერთადერთ საშუალებად. ამ კუთხით, არა მგონია, აზრთა სხვადასხვაობა იყოს აფხაზ საზოგადოებაში.

სამწუხარო რეალობაა, რომ აფხაზ საზოგადოებასთან ჩვენ ყოველგვარი კონტაქტი გავწყვიტეთ, აფხაზეთის მიმართულებით არ მუშაობს არც სახალხო დიპლომატია. ერთადერთი, ვინც ამ მიმართულებას ავითარებდა, იყო ბატონი ზურაბ ჟვანია, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა, მოკლეს. ამაში ეჭვი არ მეპარება. სააკაშვილის რეჟიმმა გაართულა სიტუაცია მილიტარიზმის სულით, მუქარითა და იმ ავანტიურით, რომელიც ცხინვალის მიმართულებით განახორციელა. შემდგომში სრული აპათიური დამოკიდებულება განვითარდა აფხაზეთის პრობლემის მიმართ. სიტუაცია, სამწუხაროდ, ვერც ბატონმა პაატა ზაქარეიშვილმა გამოასწორა.

***– იმედები კი დიდი იყო.***

– იმედები იყო, მაგრამ ისიც გაქრა, სამწუხაროდ, ბოლო იმედები იყო. დღეს არ გვაქვს არავითარი იმედი აფხაზეთის მიმართულებით ვითარების გამოსწორებისთვის. ჟენევის ფორმატის შეხვედრებში მონაწილეებს ძალიან სერიოზულად არ განვიხილავ, გარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა.

– რატომ?

– სერიოზულად არ განვიხილავ იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ამაში მონაწილეობენ, რადგან სიტუაციას ვერ ფლობენ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უფრო იცის სიტუაცია, ვიდრე ცენტრალურმა ხელისუფლებამ, რომელიც ჟენევის ფორმატს ხელმძღვანელობს.




– სახელმწიფომ უნდა დაანებოს თავი ილუზიას, რომ ის უკეთესად მართავს, ვიდრე კერძო სექტორი. ამის შესახებ ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე წერს და ჯანდაცვის სფეროს შესახებ საკუთარ პოზიციას აფიქსირებს.

# გიორგი ქადაგიძე: „სახელმწიფოს აქვს ილუზია, რომ კერძო სექტორზე უკეთ მართავს“

გიორგი ქადაგიძის თქმით, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა რომ ნებისმიერი ხელისუფლების ამოცანაა, ეს უდავოა, მაგრამ ამ თემაზე მსჯელობა, შინაარსიდან გამომდინარე, ყოველთვის რთულია თემით სპეკულაციისა და პოპულიზმის გამო.

– 2014 წლიდან სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ იგი უკეთესად მართავს ჯანდაცვის ხარჯებს, ვიდრე კერძო სექტორი და მივიღეთ შემდეგი ვითარება. ერთადერთი კომპანია, რომელიც ამ სფეროში მოღვაწეობს და საკუთარ ფინანსურ მაჩვენებლებს აქვეყნებს, კომპანია „ევექსია“, რომელსაც სხვა კონკურენტებთან შედარებით გაცილებით დიდი აქვს ადმინისტრაციული დანახარჯები და, მიუხედავად ამისა, მომგებიანობა (დაბეგვრამდე და ამორტიზაციამდე) 30%-ია. თუ ამ რიცხვს განვაზოგადებთ, გამოდის:

– 2016 წელს საყოველთაო ჯანდაცვაზე დახარჯული 600 მილიონი ლარიდან 200 მილიონი რამდენიმე კლინიკის მეპატრონეთა მოგებაა. იგივე მდგომარეობაა თითქმის ყველა სხვა პროგრამაში (დიალიზი, ნარკოლოგია და ა.შ.)

– ანუ 800 მილიონიდან, რომელსაც სახელმწიფო ჯანდაცვაზე ხარჯავს და სოციალურ ბიუჯეტს ეძახის, 240 მილიონი არის კლინიკებისა და პროგრამების ოპერატორების მოგება და ამას კიდევ უნდა დავუმატოთ თვითონ ჯანდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული ხარჯი.

– ამავე დროს, არ იზრდება არც ექიმებისა და არც სხვა სამედიცინო პერსონალის ხელფასები და არ უმჯობესდება ზოგადი ხარისხი.

ჯანდაცვის მენეჯმენტი რთული და კომპლექსური საკითხია უამრავი პრობლემით, მაგრამ ჩემი შემდეგი ორი ნაბიჯი აუცილებელია:

– სახელმწიფომ თავი უნდა დაანებოს ილუზიას, რომ ის უკეთესად მართავს, ვიდრე კერძო სექტორი. პროგრამების მართვა მაქსიმალურად უნდა განკერძოვდეს და შემოვიდეს კონკურენცია ამ სფეროში.

– ყველა, ვინც შემოსავლის უმეტეს ნაწილს იღებს საბიუჯეტო სახსრებიდან, ვალდებული უნდა იყოს, გამოაქვეყნოს თავისი ფინანსური ანგარიშგება (როგორც ეს ბანკებში/დაზღვევაშია).

მყისიერი ფისკალური ეფექტი – 100 მილიონი ლარი, – წერს ქადაგიძე.

ინტერპრესნიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# 5 წელიწადში კომერციული ბანკების მოგება 423%-ით გაიზარდა



— მოგების გადასახადის გაუქმება არ უნდა შეეხოს ფინანსურ (საბანკო, დაზღვევის, მისო-ბი) და ფარმაცევტულ სექტორებს. ეს ინდუსტრიები ისედაც არ იხდიან არანაირ გადასახადს, გარდა მოგებისა და მათი საგადასახადო ტვირთი ისედაც მინიმალურია.

ეს მოსაზრება ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ მოგების გადასახადის ესტონურ მოდელთან დაკავშირებით დაწერა.

თავად კომერციული ბანკების მოგება კი ყოველწლიურად ჰიპერტროფიულად იზრდება. მარტო ბოლო 5 წელში ქვეყანაში მოქმედი ბანკების წმინდა მოგება 422,7%-ით გაიზარდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-ოქტომბერში საბანკო სექტორის წმინდა მოგებამ, წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია.

10 თვეში კომერციულმა ბანკებმა 532.176 მლნ ლარის წმინდა მოგება მიიღეს. თუ ზრდის ასეთი ტემპი შენარჩუნდა, გამორიცხული არ არის, რომ წლის ბოლოს ბანკების მოგებამ ყველა წლის რეკორდი მოხსნას და 700 მლნ-ს მიაღწიოს.

2015 წლის იანვარ-ოქტომბერში კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 399.277 მილიონი ლარი შეადგინა; 2014 წელს – 359.649 მილიონი ლარი; 2013 წელს – 308.837 მილიონი ლარი; 2012 წლის იანვარ-ოქტომბერში კი ბანკების წმინდა მოგება მხოლოდ 101.808 მილიონი ლარი იყო.

ბანკები დღემდე განსაკუთრებული პრივილეგიებითა და შეღავათებით სარგებლობენ. შესაბამისად, სახელმწიფო, მომხმარებელი და სხვა კომპანიებიც, რომელთაც ბანკების პროფილურ თუ არაპროფილურ ბიზნესებთან კონკურენცია უჭირთ, ზარალდებიან.

* * *

საგულისხმოა, რომ ბოლო რამდენიმე წელია, კომერციული ბანკების წმინდა მოგება ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

2015 წელს ბანკებმა 537.394.000 ლარის წმინდა მოგება მიიღეს. 2014 წელი 474.808.000 ლარის მოგებით დაასრულეს, 2013 წელი – 389.132.000 ლარით, 2012 წელი – 134.231.000 ლარით და ა. შ.

მაღალი მოგების მიუხედავად, საბანკო სექტორი ბიუჯეტში არცთუ დიდ ფულს იხდის.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, შარშან ყველა კომერციულმა ბანკმა ერთად ბიუჯეტში 67 მლნ ლარი შეიტანა, 2014-ში – 79 მლნ ლარი, 2013-ში – 44 მლნ ლარი, 2012 წელს კომერციული ბანკების მოგების გადასახადმა მხოლოდ 34 მლნ ლარი შეადგინა. წელს, 10 თვეში კი ბანკებმა 57.747 ლარი გადაიხადეს.

სპეციალისტების განცხადებით, ასეთი მომგებიანი სექტორიდან სახელმწიფო ყველაზე მცირე სარგებელს იღებს გამომდინარე იქიდან, რომ ბანკები შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით სარგებლობენ.

საბანკო სფერო გათავისუფლებულია მთელი რიგი გადასახადებისგან. მთლიანი საფინანსო სექტორის მიმართ დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი მოქმედებს. ამ შეღავათების მიზანია სექტორის წახალისება და ეკონომიკის ფართო დაკრედიტება. თუმცა ბანკები, არასაკმარისი რესურსისა თუ მაღალი მოგების მიღების გამო, ძირითადად, ვაჭრობას აკრედიტებენ და რეალური სექტორის დაფინანსებას ერიდებიან.

საბანკო სფეროს სპეციალისტები წლებია საუბრობენ, რომ კომერციული ბანკების დაბეგვრა ცოტათი განსხვავდება სხვა სახის საწარმოების დაბეგვრისგან თუნდაც იმით, რომ იქ ხარჯებში გათვალისწინებულია რეზერვების მოცულობა. ამიტომ კომერციულ ბანკს ყოველთვის აქვს ლავირების საშუალება, რათა საკუთარი საგადასახადო ბაზა შეამციროს.

ამასთან, დღეს კომერციულ ბანკებს რამდენიმე წყარო გააჩნიათ მოგების მისაღებად. პირველ ყოვლისა, ისინი არიან კომერციული სტრუქტურები და მუშაობენ იმისთვის, რომ შემოსავალმა გადააჭარბოს მათ ხარჯს. ამის რამდენიმე არხი არსებობს, როგორც სესხების გაცემის, ასევე ღია ბაზარზე ოპერაციების თვალსაზრისით.

კომერციული ბანკების მოგება ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება და ის ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე ბევრად მაღალია, ანუ ჰიპერტროფიული. თანამედროვე მსოფლიოში ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთის პროპორციულია. როდესაც საფინანსო სექტორი ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე ეკონომიკა, ის აზარალებს ამ უკანასკნელს და არ აძლევს განვითარების საშუალებას.

* * *

მაღალი მოგების, ასევე შედარებით მცირე გადასახადის ფონზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გადასახადის ესტონური მოდელი საფინანსო სექტორზე გავრცელებას არასწორად მიიჩნევს.

„საზოგადოება და ბანკების“ დამფუძნებელი გიორგი კეპულაძის განცხადებით კი, ბანკების მოგების გადასახადიდან გათავისუფლება ბიუჯეტისთვის ძალიან დიდი დანაკლისი იქნება.

— ზოგადად, როგორც ვიცით, გეგმის მიხედვით საფინანსო სექტორი და ბანკები მოგების გადასახადისგან არ თავისუფლდება. მაგრამ თუ ბანკების მოგების გადასახადიდან გათავისუფლება მოხდა, ეს ბიუჯეტისთვის დიდი დანაკლისი იქნება, — განაცხადა კეპულაძემ.

კომერსანტი.გე

# კობა გვენეტაძე: „ლარიზაციისა და გალარების აღრევა მოხდა“



— გარკვეულწილად ლარიზაციის და გალარების აღრევა მოხდა, გალარება ერთჯერადი, სოციალური პროექტია, რომლის განხორციელებასაც მთავრობა აპირებს.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „მთავარის“ ეთერში სტუმრობისას განაცხადა.

გვენეტაძე გამოეხმაურა ლარიზაციის გეგმის იმ ნაწილს, რომელიც იპოთეკარების დახმარებას ეხება.

— მოხდა გარკვეულწილად აღრევა გალარების და ლარიზაციის. გალარება არის ის ერთჯერადი სოციალური პროექტი, რომლის დაფინანსებასაც მთავრობა აპირებს. ეს კეთდება, რათა იმ მსესხებლებს, რომლებსაც აღებული ჰქონდათ სესხი 2015 წლის 1 იანვრამდე და რომლებმაც ყველაზე მეტად განიცადეს კურსის ცვლილება, შეუმსუბუქდეთ გარკვეულად ტვირთი.

არის ძალიან ბევრი წუხილი იმ ადამიანების, რომლებსაც ზუსტად ეს დაემართათ, რადგან აღებული ჰქონდათ სესხი დოლარში, ხელფასს იღებენ ლარში და სესხი გაუძვირდათ. აქედან გამომდინარე ჩაფიქრებულია ის ერთჯერადი აქცია, რომელიც სხვა ქვეყნებშიც იყო გამოყენებული და საქართველო ამ მხრივ უნიკალური არ არის, — განაცხადა გვენეტაძემ.

მისივე თქმით, ეს არის სავალუტო რისკისგან დაზღვევის საშუალება. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განმარტებით, სესხის გალარების ვალდებულება არავის აქვს და ეს აბსოლუტურად ნებაყოფლობითი იქნება.

— ძალიან ბევრი ინტერპრეტაცია იყო იმასთან დაკავშირებით, კარგია ეს თუ ცუდი. მაგალითად, ერთი მიზეზი იყო ის, თუ რატომ უნდა მოხდეს ვალის დაფარვა სუბსიდირებით, ანუ რატომ უნდა გადაიხადოს გადამხდელმა იპოთეკური სესხი.

სხვანაირად უნდა შევხედოთ ამას — მედალს ორი მხარე აქვს. თუ ვიფიქრებთ იმას, რომ ეს არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ძალიან გაურთულდა ცხოვრება, იმ მიზეზების გამო, რომ ლარი გაუფასურდა, ეს არის ჩვენი საზოგადოების ნაწილი, რომელსაც დახმარება სჭირდება. გავიხსენოთ სტიქიები, რომლებიც რეგიონებში ხდება. სახელმწიფო მათ ეხმარება და სუბსიდირებას აკეთებს, ამ დროს არ გვაქვს განცდა, რატომ ვეხმარებით, ეს არის მოწყვლადი ფენა და სწორედ ამიტომ ვეხმარებით.

ის მექანიზმი, რომელიც იქნება შეთავაზებული, მაქსიმალურად მოერგება მსესხებლის სიტუაციას. ბევრი საუბარია, რომ, შესაძლოა, სხვა პროცენტი იყოს მითითებული. დოლარის და ლარის პროცენტს შორის განსხვავება არის და ზუსტად განსხვავება არის ის საზღაური, დაზღვევა, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს იმისთვის, რომ დანახარჯები გახდეს სტაბილური და პროგნოზირებადი.

ეს საკითხი ბევრი მხრიდან არის განხილული, არ არის უნიკალური, ანუ ისეთი რამ, რაც არასოდეს მომხდარა. მთავრობამ გამოიჩინა კეთილი ნება და ჩვენ გვინდა და ვაპირებთ, რომ ტექნიკურად დავეხმაროთ პროექტის განხორციელებაში. ეს არის ერთჯერადი სოციალური პროექტი, — განმარტა კობა გვენეტაძემ.

**ბიპიენი**

# 2017 წლის ბიუჯეტის პროექტით 1 დოლარი 2,5 ლარზეა დათვლილი

## ეს იმას ნიშნავს, რომ დენი და გაზი გაძვირდება




2017 წლის ბიუჯეტის პროექტით დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.50 ლარს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ წელს მთავრობა ლარის კურსის მნიშვნელოვან გამყარებას არ ელოდება.

სპეციალისტების თქმით, 1 დოლარის ღირებულება შეიძლება 2,6-საც ასცდეს, შემდეგ 2,4-მდე გამყარდეს, მაგრამ საშუალო კურსი აუცილებლად 2,5 იქნება.

— აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მომავალი წელი ძალიან რთული იქნება. 2,5 საკმაოდ დაძაბული კურსია, ეს იმას ნიშნავს, რომ დენის და გაზის გაძვირების საკითხი აუცილებლად დადგება, ამაზე მე განცხადება ადრეც გავაკეთე. ახლა კი ამაზე რიგი მინიშნებები უკვე გაკეთდა.

ეს კიდევ უფრო დაამძიმებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. 2017 წელს საქართველოს მთავრობა ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, — განუცხადა „კომერსანტს“ ეკონომიკის დოქტორმა დავით ასლანიშვილმა.

**კომერსანტი.გე**



# ლარი გაუფასურდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.5744 ლარია. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.5598 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0146 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.7734 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.234 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0500 ლარი შეადგინა.

# საწვავთან ერთად საავტომობილო ზეთების ფასიც გაიზრდება

მთავრობის მიერ დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, მომავალი წლიდან აქციზის გადასახადი არა მარტო ავტომობილებსა და საწვავზე, არამედ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზეთებზეც გაიზრდება.

კანონპროექტის მიხედვით, ზეთებზე აქციზი 400-დან 800 ლარამდე გაიზრდება.

1 ტონა ბენზინზე აქციზის განაკვეთი იზრდება 250 ლარიდან 500 ლარამდე, 1 ტონა დიზელზე – 150 ლარიდან 400 ლარამდე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავად გამოყენებულ 1.000 მ3 ბუნებრივ აირზე – 80-დან 200 ლარამდე, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზეთებზე 400-დან 800 ლარამდე.

„ეკოტრანსპორტცენტრის“ ხელმძღვანელი ვასილ ურუშაძე ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას ამბობს, რომ აქციზის ზრდა პროდუქტის ფასზეც აისახება და საზეთსაპოხი მასალები დაახლოებით 10-15%-ით გაძვირდება.



— იმპორტიორი და დისტრიბუტორი კომპანიები, არა მგონია, დიდი კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ, უბრალოდ, მოუწევთ ფასის გაზრდა. რაც საბოლოოდ პროდუქტის საცალო თვითღირებულებაზე აისახება.

მეორე მხრივ, შეიძლება უფრო დაბალი ხარისხის საზეთსაპოხი მასალების მოთხოვნა გაჩნდეს. ეს კი ცუდია, რადგან დაბალი ხარისხის ზეთების გამოყენება პერიოდულად ავტომობილების ტექნიკურ გაუმართაობას იწვევს, რაც საბოლოოდ, ეკოლოგიაზე უარყოფითად აისახება, — ამბობს ურუშაძე.

ავტოექსპერტი ზურაბ ბეჟაშვილი კი აღნიშნავს, რომ საჭიროა განმარტება — აქციზი იზრდება 1 ტონაზე თუ 100 ლიტრ საავტომობილო ზეთზე. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, თუ რამდენით გაძვირდება პროდუქცია.

მისივე თქმით, თუ აქციზი 1 ტონა ზეთზე 800 ლარამდე გაიზრდება, თავად ლიტრი ზეთის საფასური დაახლოებით 80 თეთრით ან 1 ლარით მოიმატებს.

ბეჟაშვილი მოსალოდნელ საფრთხეებზეც საუბრობს და ამბობს, რომ ალბათ კონტრაბანდაც იჩენს თავს. გარდა ამისა, თავად მოქალაქეები მოძებნიან იაფფასიან ზეთს, ზოგი არ გამოცვლის ზეთს, რადგან ძვირი ეღირება, რაც გარემო პირობებს უფრო მეტად დააბინძურებს.

**თაია არდოტელი, ბიპიენი**

# საწვავი კიდევ 5 თეთრით გაძვირდა

საწვავის ფასი ზოგიერთ ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურზე კიდევ გაიზარდა.

5 დეკემბერს გალფში საწვავი კიდევ 5 თეთრით გაძვირდა.

ვისოლში საწვავი 4 დეკემბრის შემდეგ 4-5 თეთრით გაძვირდა.

ამ დრომდე ფასები არ გაუძვირებია ლუკოილს, როგორც კომპანიაში აცხადებენ, ჯერჯერობით ცვლილება არ იგეგმება.

ფასების კორექტირება არ მომხდარა არც სოკარში.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის განცხადებით, ფასების ზრდა საერთაშორისო ბაზარზე „პლატცის“ ფასის მატებამ გამოიწვია, რასაც თან დაერთო ლარის კურსის გაუფასურების ფაქტორიც.

— ამ ეტაპზე რამე მოლოდინზე საუბარი რთულია. ჩვენ პირდაპირ დამოკიდებული ვართ საერთაშორისო ფასზე, რომელიც ბოლო პერიოდში, სამწუხაროდ, იზრდება. მიზეზი ოპეკის წევრი ქვეყნების შეთანხმებაა ნავთობმოპოვების კვოტების შემცირებასთან დაკავშირებით. რთულია, რაღაც ოპტიმისტური პროგნოზი გააკეთო, — აღნიშნა ვანო მთვრალაშვილმა ბიზნესპრესნიუსთან საუბარში.

საწვავის ფასი 1 ლიტრზე 5 თეთრით ზოგიერთ არაბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურზეც გაძვირდა.

**ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი**

# ფოტოგრაფების საქმე გახსნილია. პროკურატურამ ყოფილ მაღალჩინოსნებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო

პროკურატურამ ფოტოგრაფების საქმე გახსნა.

უწყების განცხადებით, ფოტოგრაფები: გიორგი აბდალაძე, ზურაბ ქურციკიძე და ირაკლი გედენიძე გამოგონილი ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს და მათზე ხელისუფლების მხრიდან ანგარიშსწორება 26 მაისის აქციის დაშლის აქტიური გაშუქების გამო მოხდა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ „ფოტორეპორტიორების საქმეზე", ძალადობითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით განხორციელებული სამსახურებრივი მდგომარეობის გადამეტების ფაქტზე დაკავებულ იქნა საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ქ.თბილისის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე დავით დევნოზაშვილი, ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულების მე-8 საპყრობილის ყოფილი დირექტორის ალექსანდრე მუხაძის მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება მისი ბრალდების შესახებ.

ამავდროულად, პროკურატურის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფოტორეპორტიორების: გიორგი აბდალაძის, ზურაბ ქურციკიძის, ირაკლი და ნათელა გედენიძეების მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვის თაობაზე და პროკურატურა მათ მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამამართლებელი განაჩენების დადგომას მოითხოვს.

აღნიშნულ საქმეზე პროკურატურის მიერ ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რის საფუძველზეც გამოძიებამ თითოეულ ამ საქმეში მოიპოვა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რის შემდეგაც გამოვლენილ იქნენ ამ დანაშაულში ჩართული საჯარო მოხელეები და, თავის მხრივ, დადასტურდა ფოტორეპორტიორების უდანაშაულობა მათთვის წარდგენილ ბრალდებაში.

გარდა ამისა, პროკურატურამ საიდუმლო გრიფის მიმნიჭებელ უწყებებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად მოახდინა ფოტორეპორტიორების საქმის ყველა ძირითადი მასალისა და დოკუმენტის განსაიდუმლოება, რის შემდეგაც მოგვეცა საშუალება, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია, რომელიც აქამდე არ იყო ცნობილი და ასევე გავაცნოთ ახალი გამოძიებით დადგენილი მნიშვნელოვანი ფაქტები.

❖ ❖ ❖

პროკურატურის ვერსიით, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი ფოტორეპორტიორი გიორგი აბდალაძე, ევროპის პრეს სააგენტოს ფოტორეპორტიორი ზურაბ ქურციკიძე და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ფოტორეპორტიორი ირაკლი გედენიძე აქტიურად აშუქებდნენ 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე ხელისუფლების საწინააღმდეგო საპროტესტო აქციის დროს მომიტინგეების დარბევისა და სამართალდამცავების მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტებს, რასთან დაკავშირებითაც მათ მიერ გადაღებულმა ფოტოებმა მსოფლიოს წამყვან პრესსააგენტოებში დიდი რეზონანსი გამოიწვია, რაც ნეგატიურად აისახებოდა იმჟამინდელი ხელისუფლების რეიტინგზე.

სწორედ ამ ფაქტით გამოწვეული ხელისუფლების უკმაყოფილების შედეგად, ანგარიშსწორების მიზნით, 2011 წლის 7 ივლისს, შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, გამოგონილი ჯაშუშობის ბრალდებით, ღამის საათებში, საგანგებოდ ჩატარებული სპეცოპერაციის გზით, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დაკავებულ იქნენ ზურაბ ქურციკიძე, გიორგი აბდალაძე, ირაკლი გედენიძე და ნათელა გედენიძე.

ფოტორეპორტიორების დაკავებამდე შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი ახორციელებდა ზურაბ ქურციკიძის სატელეფონო საუბრების ფარულ მიყურადებას.

ზურაბ ქურციკიძე 2004 წლიდან დღემდე მუშაობს ევროპის პრესსააგენტო „ეპა"-ს ფოტორეპორტიორად, რომლის სათავო ოფისი მდებარეობს ფრანკფურტში, ხოლო ამიერკავკასიის მასშტაბით — მოსკოვში.

თავისი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, ზურაბ ქურციკიძეს ხშირი სატელეფონო საუბრები ჰქონდა ხსენებული სააგენტოს თანამშრომლებთან, რომელთაც, ხელშეკრულების საფუძველზე, ჰონორარის სანაცვლოდ უგზავნიდა როგორც მის მიერ გადაღებულ ფოტოსურათებს, ასევე ამ სააგენტოს სტრინგერების, უშტატო თანამშრომლების ირაკლი გედენიძისა და გიორგი აბდალაძის მიერ გადაღებულ ფოტოებსაც.

სწორედ ზურაბ ქურციკიძის, ირაკლი გედენიძისა და გიორგი აბდალაძის მიერ განხორციელებული ფოტორეპორტიორობა დაედო საფუძვლად სამართალდამცავების მხრიდან მათი ჯაშუშობის ბრალდების ლეგენდის შექმნას.

კერძოდ, გამოგონილი ჯაშუშობის ბრალდების თანახმად, 2004 წელს ზურაბ ქურციკიძე მოსკოვში სამსახურებრივი მივლინების დროს გასამრჯელოს დაპირების საფუძველზე კონფიდენციალური თანამშრომლობისთვის გადაბირებულ იქნა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლების მიერ.

მათი ორგანიზებით, ზურაბ ქურციკიძე თითქოს სისტემატიურად უგზავნიდა ევროპის პრესსააგენტოს თანამშრომლებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ფოტოებსა და მასალებს,



რომლებსაც ქურციკიძე მოიპოვებდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ოპერატორ ირაკლი გედენიძის და საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ფოტოგრაფ გიორგი აბდალაძისგან, რომლებმაც თითქოსდა იცოდნენ ქურციკიძის რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ.

გამოგონილი ბრალდების თანახმად, ფოტოგრაფების მიერ შექმნილ ჯაშუშურ ქსელს დახმარებას ასევე უწევდა ირაკლი გედენიძის მეუღლე, ფოტოგრაფი ნათელა გედენიძე.

❖ ❖ ❖

სამართალდამცავების მიერ ფოტორეპორტიორების დაკავებას საზოგადოებაში და საერთაშორისო მასშტაბით დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თბილისში დაიწყო პერმანენტული აქციები ფოტორეპორტიორების გათავისუფლების მოთხოვნით.

იმჟამინდელი ხელისუფლება მასმედიის და საზოგადოების წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. საზოგადოება პროკურატურისგან საქმის გასაჯაროებასა და უკანონოდ დაკავებული ფოტორეპორტიორების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვდა.

ყოველივე ამის შედეგად, სამართალდამცავებმა დაიწყეს ფოტორეპორტიორების მიმართ ფსიქოლოგიური ზეწოლა და შანტაჟი, რათა შედეგად მათ მიეღოთ აღიარებითი ჩვენებები, რომელსაც გაასაჯაროებდნენ, საზოგადოებას შეიყვანდნენ შეცდომაში და ამ გზით შეეცდებოდნენ საპროტესტო ტალღის ჩაცხრომას.

ამ მიზნით, დაკავებულების დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანისთანავე, მათთან არაოფიციალურად შედიოდა საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ქ.თბილისის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე დავით დევნოზაშვილი სხვა თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც მოსალოდნელი ციხის მძიმე პირობების და მათი ოჯახის წევრებისთვის პრობლემების შექმნის მუქარით დაჟინებით ითხოვდნენ ჯაშუშურ ქსელში მონაწილეობასთან დაკავშირებით აღიარებით ჩვენებაზე ხელის მოწერას.

ამას დაემატა ისიც, რომ დაკავებულ ნათელა გედენიძეს დავით დევნოზაშვილმა წარუდგინა სახლის ჩხრეკის დროს კომპიუტერიდან უკანონოდ მოპოვებული ფოტო და აღიარებითი ჩვენების არმიცემის შემთხვევაში დაემუქრა მისი საჯარო სივრცეში გავრცელებით, რის შედეგადაც ნათელა გედენიძე გახდა ცუდად და დასჭირდა ექიმის დახმარება.

აღნიშნული ფოტო ასევე აჩვენეს დაკავებულ ირაკლი გედენიძეს და დაემუქრნენ მისი გავრცელებით.

განხორციელებულ ზეწოლას ვერ გაუძლეს ცოლ-ქმარმა ნათელა და ირაკლი გედენიძეებმა და ისინი იძულებული გახდნენ, ხელი მოეწერათ სამართალდამცავების მიერ წინასწარ შეთხზული ცრუ აღიარებითი ჩვენებისთვის, რის შემდეგაც ნათელა გედენიძე გაათავისუფლეს დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, ხოლო ირაკლი გედენიძეს სამომავლოდ შეჰპირდნენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და გიორგი აბდალაძესთან და ზურაბ ქურციკიძესთან ერთად გადაიყვანეს სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში.

ციხეში ფოტორეპორტიორების შეყვანისთანავე, საპყრობილის დირექტორ ალექსანდრე მუხაძის ორგანიზებითა და დახმარებით სამართალდამცავების მხრიდან მათ მიმართ გაგრძელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, რასაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა.

მათ საკნებში არ ქრებოდა შუქი და საკნები აყვანილი იყო მუდმივ ვიდეოკონტროლზე. ალექსანდრე მუხაძის დავალებით პატიმრები აჰყავდათ ციხის ადმინისტრაციაში, სადაც დავით დევნოზაშვილი სხვა თანამშრომლებთან ერთად აგრძელებდა მუქარას აღიარებითი ჩვენების მისაღებად.

საბოლოოდ, განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, 8 დღის შემდეგ ზურაბ ქურციკიძე და გიორგი აბდალაძეც დაითანხმეს აღიარებითი ჩვენების მიცემაზე. მათ საგანგებოდ შეასწავლეს სამართალდამცავების მიერ წინასწარ დაწერილი ჩვენება, რასაც მთელი ღამის განმავლობაში ამეორებინებდნენ დაკავებულებს, რათა ადვოკატების თანდასწრებით არაფერი შეშლოდათ, მეორე დღეს კი მათი დამცველი ადვოკატების მონაწილეობით ვიდეოკამერაზე ჩაწერეს აღიარებითი ჩვენებები, რასაც ადვოკატების მწვავე პროტესტი მოჰყვა.

საქმის წარმატებით დასრულებას სწორედ ადვოკატების მიერ გამოთქმული პროტესტი უშლიდა ხელს. აქედან გამომდინარე, გიორგი აბდალაძესა და ზურაბ ქურციკიძეს დააწერინეს განცხადებები და უარი ათქმევინეს მათ დამცველ ადვოკატებზე, რის შემდეგაც პროკურატურის მაღალჩინოსნების მოთხოვნითა და რეკომენდაციით საქმეში სხვა ადვოკატები ჩაერთვნენ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ზურაბ ქურციკიძესთან, გიორგი აბდალაძესთან, ირაკლი და ნათელა გედენიძეებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში.

სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ ფოტორეპორტიორებს მკაცრად აუკრძალეს ამ თემაზე ყოველგვარი საუბარი საჯარო სივრცეში.

❖ ❖ ❖

კონტრდაზვერვის ყოფილი მაღალჩინოსანი დავით დევნოზაშვილი დაკავებულია საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, ხოლო მე-8 საპყრობილის ყოფილი დირექტორი ალექსანდრე მუხაძე ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

აღნიშნულ საქმეზე საქართველოს მთავარი პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას ამ დანაშაულში ჩართული სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირების გამოსავლენად.

გარდა ამისა, უკანონოდ გასამართლებული ზურაბ ქურციკიძის, გიორგი აბდალაძის, ირაკლი და ნათელა გედენიძეების მიმართ პროკურატურის მიერ გამოტანილია დადგენილებები მსჯავრდებულის უფლების არსებითად დარღვევის თაობაზე, რის საფუძველზეც პროკურატურა მიმართავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენების გადასინჯვის მოთხოვნით.

## გედენიძე: „მეუღლის ფოტოთი და შვილებით მემუქრებოდნენ, რის გამოც აღიარებითი ჩვენება მივეცი"

ფოტოგრაფების საქმის ფიგურანტი ირაკლი გედენიძე ნიუპოსტთან აცხადებს, რომ სასამართლოზე დაიდება ის მტკიცებულებები, რომლებიც მათ უდანაშაულობას დაადასტურებს.

— ამ ეტაპზე გამოძიება სრულად არის ჩატარებული. ძალიან მოკლე ხანში სასამართლოს წინაშე დაიდება დოკუმენტები, რომლებიც ჩვენს უდანაშაულობას ცალსახად ადასტურებს, — აღნიშნა ირაკლი გედენიძემ.

როგორც ფოტოგრაფმა ნიუპოსტს განუცხადა, დანაშაულის აღიარების მოთხოვნით მისი მეუღლის ფოტოთი და შვილებით აშანტაჟებდნენ.

— კონტრდაზვერვის თანამშრომელი დავით დევნოზაშვილი ახორციელებდა ზეწოლას. ჩემი მეუღლის ფოტოთი ხდებოდა ჩემი და ჩემი მეუღლის შანტაჟი, გვეუბნებოდნენ, რომ ფოტო საჯარო სივრცეში მოხვდებოდა. მეორე მიზეზი, რის გამოც გავაკეთე აღიარებითი ჩვენება, იყო მუქარა ჩემს შვილებზე, — აღნიშნა გედენიძემ.

მისი თქმით, გამოძიებამ უნდა დაადგინოს უშუალო დამკვეთების ვინაობა.

## ფოტოგრაფების საქმეზე დაკავებული დავით დევნოზაშვილი დანაშაულს არ აღიარებს

ფოტოგრაფების საქმეზე დაკავებული დავით დევნოზაშვილი დანაშაულს არ აღიარებს.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს დევნოზაშვილის ადვოკატმა რაულ გამისონიამ განუცხადა.

როგორც გამისონიამ აღნიშნა, მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ბრალი ჯერ ოფიციალურად არ წაუყენებიათ, თუმცა დანაშაულს, რომლის ჩადენასაც პროკურატურა მას ედავება, არ აღიარებს.

— რაც არ ჩაუდენია, იმას როგორ აღიარებს? ზოგადად წინასწარი გამოძიების მასალები რაც გროვდება, ის ყოველთვის, საბოლოო ჯამში, არ დასტურდება. წინასწარი გამოძიების ეტაპზე, პროკურატურის აზრით, ალბათ, არის რაღაც ისეთი, რაც მათ დევნოზაშვილის დაკავების უფლებას აძლევს. მას ამ საქმესთან საერთოდ შემხებლობა არ ჰქონია. ძველ სისხლის სამართლის საქმეში არის გვარები, სახელები, ვინც გამოიძია საქმე, ვინც ოპერატიული ღონისძიება ჩაატარა და ამ საქმეში მისი გვარი, როგორც ვიცი, არ ფიგურირებს, — განაცხადა გამისონიამ.

ადვოკატის ინფორმაციით, სახელმწიფო ბრალდებას მისთვის არც საქმის მასალები გადაუცია და, შესაბამისად, მისთვის უცნობია, თუ რა მტკიცებულებები მოიპოვა პროკურატურამ.

## თენგიზ გუნავა: „ფოტოგრაფების საქმეზე" კითხვის ნიშნები არსებობდა, მაგრამ დღევანდელი პროკურატურის ნდობა ეჭვქვეშ არის"

— ფოტოგრაფების საქმეზე კითხვის ნიშნები არსებობდა, მაგრამ ჩვენი მხრიდან დღევანდელი პროკურატურის ნდობა ეჭვქვეშ არის.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა, დეპუტატმა თენგიზ გუნავამ განუცხადა.

გუნავას თქმით, პროკურატურამ ძალიან ბევრი გახმაურებული საქმე სუბიექტური მიდგომით გამოიყენა და არსებობს ეჭვი, რომ ის მიკერძოებულია, რაც პრობლემაა.

— ძალიან ბევრი საქმის გამო დღევანდელი პროკურატურის ნდობა ეჭვქვეშ დგას. საქმის გადასინჯვა პრობლემას არ წარმოადგენს. ამ საქმესთან დაკავშირებით იყო კითხვის ნიშნები, თუმცა ობიექტურობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ მიდგომა უნდა იყოს ობიექტური და არა — სუბიექტური.

სამწუხაროდ, დღევანდელ პროკურატურას ძალიან ბევრ გახმაურებულ საქმეზე სუბიექტური მიდგომა აქვს, — განაცხადა თენგიზ გუნავამ.

# დიდი ოდენობით ოქროს ზოდების შემოტანისთვის დაკავებულია ერთი პირი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქროს ზოდების უკანონოდ გადმოტანის ფაქტზე ერთი მოქალაქე დააკავა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა 2016 წლის 5 დეკემბერს საბაჟო-გამშვებ პუნქტ „წითელი ხიდის" გავლით გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

ამ დროს მისი მართვის ქვეშ მყოფ ტოიოტა პრადოს მარკის ავტომობილში სპეციალურად მოწყობილ სამალავში აღმოაჩნდა დეკლარირებას დაქვემდებარებული 288.265 ლარის ღირებულების 5.1 კილოგრამის ოდენობის ოქროს ზოდები.

საგამოძიებო სამსახურის მიერ საქართველოში კონტრაბანდული გზით, უკანონოდ შემოტანილი ძვირფასი ლითონი ამოღებულია ნივთმტკიცების სახით.



საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით 5-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

# შავქატ მირზიოევი უზბეკეთის ახალი პრეზიდენტი გახდა



უზბეკეთმა ახალი პრეზიდენტი აირჩია. არჩევნები კარგად იყო ორგანიზებული და საბოლოო შედეგები ეჭვს არ იწვევდა. პრეზიდენტის პოსტი შავქატ მირზიოევმა დაიკავა.

უზბეკეთის ახალი პრეზიდენტი 1957 წელს ჯიზაკის მახლობლად დაიბადა. დაამთავრა ტაშკენტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. შემდეგ მუშაობდა ტაშკენტის მელიორაციის ინსტიტუტში, იყო ამ ინსტიტუტის პარტორგი.

მირზიოევის პოლიტიკური მოღვაწეობა 1990 წელს დაიწყო, როცა ის პარლამენტში აირჩიეს. ეს მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ისლამ ქარიმოვის ხელშეწყობით მოხდა. შემდგომში ქარიმოვი პრეზიდენტი გახდა, მირზიოევი კი, როგორც მისი გუნდის ერთ-ერთი წევრი, ქარიმოვისადმი ერთგულებას ამტკიცებდა. მუშაობდა ჯიზაკში და სამარყანდში.

როგორც ჩანს, პრეზიდენტი ქარიმოვი მისი მუშაობით კმაყოფილი იყო, რადგან მირზიოევი პრემიერად დანიშნა. ასეთმა სწრაფმა აღზევებამ პრეზიდენტ ქარიმოვის ქალიშვილი ლოლა შეაშფოთა.

ქარიმოვი ქალიშვილს თავის მემკვიდრედ ამზადებდა. მირზიოევის სწრაფი აღზევებით ლოლას ერთგვარი დისკომფორტი შეექმნა. პრემიერის პოსტზე მას საკუთარი კანდიდატურა ჰყავდა.

პრემიერის წინააღმდეგ ინტრიგების მთელი გორგალი გაიბა. ამ დროს მირზიოევს მხარი დაუჭირა უზბეკეთის უშიშროების სამსახურის შეფმა, გენერალმა ინოიატოვმა. მას საკუთარი გეგმები ჰქონდა და ლოლას გაპრეზიდენტება ხელს არ აძლევდა.

ინოიატოვმა მამა-შვილს შორის შუღლის ჩამოგდება შეძლო. ამის შემდეგ მირზიოევის პოზიციები განმტკიცდა. მიუხედავად ამისა, ის ტელეეკრანებზე იშვიათად ჩნდებოდა და ერთგვარად ჩრდილში იდგა, თუმცა ინტრიგებში აქტიურად მონაწილეობდა.

ქარიმოვის სიკვდილის შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი პრემიერი მირზიოევი გახდა. ინოიატოვის დახმარებით მან ყველა შესაძლო კონკურენტი გზიდან ჩამოიცილა, ლოლა ქარიმოვა კი შინაპატიმრობაში მოათავსეს.

მირზიოევმა არჩევნებში ინოიატოვის დახმარებით გაიმარჯვა.

ინოიატოვი არა მხოლოდ უშიშროების შეფი, არამედ რუსეთის გავლენის აგენტიცაა. ამიტომაც მირზიოევის პრეზიდენტად არჩევას კრემლში სიხარულით შეხვდნენ. ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ უზბეკეთთან მჭიდრო თანამშრომლობის იმედი აქვს და ახლად არჩეული პრეზიდენტი მოსკოვში დაპატიჟა.

ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი ჩვეულებისამებრ თავშეკავებული იყო, მისი სურვილები ჟირინოვსკიმ გაახმოვანა:

— ქარიმოვის დროს უზბეკეთი რუსეთ-ჩინეთს შორის ლავირებდა. ახლა ის რუსეთისაკენ გადაიხრება!

თავად მირზიოევმა პრეზიდენტად არჩევისთანავე როგორც რუსეთს, ისე დასავლეთს გარკვეული მესიჯები გაუგზავნა. მან განაცხადა, რომ სურს, უზბეკური ხილი რუსულ ბაზარზე უფრო ფართოდ იქნას წარმოდგენილი. შემდეგ აღნიშნა: უზბეკეთში ჩატარდება ფართომასშტაბიანი დემოკრატიზაცია და მოდერნიზაცია, შესაბამისად, დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის მხარდაჭერის იმედი მაქვსო.

როგორ მოიქცევა შემდგომში მირზიოევი? როგორ განვითარდება ურთიერთობები მასსა და ინოიატოვს შორის?

ამას მომავალი გვიჩვენებს.

# რუსეთი ალეპოს მოსახლეობასთან ერთად ანადგურებს



სირიის არმია ალეპოში წინსვლას განაგრძობს. პარალელურად რუსული ავიაცია ახორციელებს დარტყმებს ვითომცდა სამხედრო ობიექტებზე. სინამდვილეში მშვიდობიანი მოქალაქეების საცხოვრებელი, აგრეთვე სკოლები და საავადმყოფოები იბომბება.

საერთაშორისო წითელმა ჯვარმა ხაზი გაუსვა, რომ რუსული დაბომბვების შედეგად მოსახლეობას შორის მსხვერპლი უზარმაზარია.

ფაქტობრივად, მთელი აღმოსავლეთ ალეპო თავის მოსახლეობასთან ერთად ნადგურდება.

ალეპოში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობა გაეროს უშიშროების საბჭოს მსჯელობის საგანი გახდა. უშიშროების საბჭომ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მშვიდობის დამყარებას მხარი დაუჭირა. რუსეთმა უკანასკნელ მომენტში ვეტოს უფლება გამოიყენა. ასე მოიქცა ჩინეთიც.

ალეპოში კი ბომბები ფეთქდება. მიმდინარეობს მოსახლეობის ბარბაროსული განადგურება.

# რუსები მარიუპოლის აღებას გეგმავენ

უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ტურჩინოვმა განაცხადა, რომ დეკემბერში უკრაინაში სიტუაციის მკვეთრი გამწვავებაა მოსალოდნელი.

დონბასში და უკრაინის სხვა რეგიონებში დესტაბილიზაციის მცდელობები იქნება. ამ ფონზე რუსები მარიუპოლის აღებასა და დონეცკ-ლუგანსკის გარეუბნებიდან უკრაინული ფორმირებების განდევნას შეეცდებიან.

უკრაინელი ექსპერტის, ფისენკოს, აზრით, მარიუპოლზე შეტევის საფრთხე დღეს რეალურია, როგორც არასოდეს. პარალელურად იქნება დესტაბილიზაციის მცდელობები უკრაინის სხვა რეგიონებში. ამ მხრივ ყველაზე საშიში ვითარება ზაპოროჟიეში, ხარკოვსა და ჩერნიგოვშია. შედარებით სტაბილური მდგომარეობაა დნეპრში (ყოფილი დნეპროპეტროვსკი), კროპივიანსკში (ყოფილი კიროვოგრადი), ნიკოლაევში, ხერსონში, ოდესაში.

— კრემლი შეეცდება, გამოიყენოს უკრაინის შიგნით შექმნილი ვითარება, კერძოდ, ხელისუფლების დაქსაქსულობა და კატასტროფული სოციალური ფონი, — თვლის ფისენკო.

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო დონბასში ჩავიდა. ის მოწინავე ხაზზე გავიდა და ჯარისკაცებს უკრაინული არმიის 25-ე წლისთავი მიულოცა.

— არც ერთი ნაბიჯი უკან! ჩვენს მიწას არავის დავანებებთ! — თქვა პოროშენკომ.

# გაერომ ბელარუსში ადამიანის უფლებების დარღვევა დაგმო



ბელარუსში ადამიანის უფლებების დარღვევა გაეროს უშიშროების საბჭოს მსჯელობის საგანი გახდა.

ნოემბერში სისრულეში იქნა მოყვანილი 3 სასიკვდილო განაჩენი. ამან მთელი ცივილიზებული მსოფლიოს აღშფოთება გამოიწვია.

ბელარუსი ევროპის ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც სიკვდილით სჯიან.

# საფრანგეთის პრემიერი ბერნარ კაზნევი გახდა

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ 5 დეკემბერს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მანუელ ვალსი გადადგა და საფრანგეთის პრეზიდენტობის მოსაპოვებელ ბრძოლაში ჩაერთო.

ამის შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა პრემიერ-მინისტრად შს მინისტრი ბერნარ კაზნევი დანიშნა, ხოლო შს მინისტრად — საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის წევრი სოციალისტური პარტიისგან ბრუნო ლე რუ.

ცვლილებები საფრანგეთის მთავრობაში კიდევ ორ პოსტს შეეხო.




პარლამენტთან ურთიერთობის სახელმწიფო მდივნად დაინიშნა ანდრე ვაინი, ხოლო განვითარებისა და ფრანკოფონიის სახელმწიფო მდივნად — ჟან-მარი ლე გენი.

მთავრობის დანარჩენი შემადგენლობა უცვლელი დარჩა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ლიბია: ჯიჰადისტები უკან იხევენ



მრავალთვიანი ბრძოლების შემდეგ ისლამური სახელმწიფოს ფორმირებები ქალაქ სირტიდან განდევნეს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ მარცხის შემდეგ ლიბიაში ექსტრემისტების პოზიციები ძლიერ შესუსტდება.

მიუხედავად ამისა, ლიბიაში მშვიდობის დამყარებამდე ჯერ კიდევ შორსაა.


## ტურმალინის საცვლები



ტურმალინს გააჩნია ბუნებრივი (bioenergy) სამკურნალო თვისებები. იგი ერთადერთი მინერალია, რომელსაც გააჩნია მაგნიტური ველი. ტურმალინი ასხივებს ინფრაწითელ სხივებს, რაც ათავისუფლებს თავისუფალ რადიკალებს.

ტურმალინი წერტილოვნად არის დატანილი ქვედა საცვლის ზედაპირზე. შედეგად, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, რაც ხელს უწყობს უჯრედების ჟანგბადით მომარაგებას, ასტიმულირებენ ნერვულ დაბოლოებებს, .აუმჯობესებს სისხლძარღვთა გამტარობას, აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ებრძვის 650-ზე მეტი სახეობის ბაქტერიას.

ტურმალინის ნანო ზედაპირი აღადგენს შარდსასქესო სისტემის ფუნქციას, ცისტიტი, ურეთრიტი, უნებლიე და ხშირი შარდვა, წვა და ტკივილი შარდვის დროს, ფეხების დაბუჟება, თირკმლის დაავადებები (ნეფრიტი, პიელონეფრიტი), კუჭის წყლულები, ყაბზობა, მეტეორიზმი, ბუასილი. ეფექტურად მოქმედებს ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე, ამცირებს კუნთების ტკივილს, საჯდომის ნერვის ანთებას, ხერხემლისა და წელის მიდამოს ოსტეოქონდროზს. აქვს ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. უკუგანვითარებას იწყებენ ფარული ინფექციები, სქესობრივი გზით გადამდები ვენერიული დაავადებები (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, გენიტალური ჰერპესი და სხვა).

ქალბატონებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, გამონადენი, ვაგინიტი, ენდომეტრიტი, მტკივნეული მენსტრუაცია, კლიმაქსის პერიოდი, სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებები, საშვილოსნოს ყელის ეროზია, საშვილოსნოს ფიბრომა, კისტა, ფრიგიდულობა, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აღადგენს ჰორმონალურ ბალანსს, რეპროდუქციულ სისტემას.

მამაკაცებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი, წვა და ტკივილი შარდვის დროს, სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, აღადგენს და აძლიერებს პოტენციას სექსუალური ფუნქციის დაქვეითების დროს, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აუმჯობესებს სათესლე ჯირკვლების მდგომარეობას.

**შემადგენლობა**

ტურმალინის ძაფი 78 %, აბრეშუმი, ტურმალინის მიკროკრისტალები, ანტიალერგიული, კომფორტული, სასიამოვნო და უვნებელი მასალა.

ტურმალინის საცვლებს რეკომენდაციას უწევენ პროქტოლოგები, გინეკოლოგები. ნეფროლოგები.

**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 79. „მედტექნიკა“**
**ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

**ფასი 35 ლარი**



## განცხადებები

### მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ფაჩულიას მოკრძალებული წვლილი და ტომპსონის რეკორდი

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები

გოლდენ სტეიტმა და მისმა კალათბურთელებმა მიმდინარე სეზონის ზეშედეგიანი მატჩი გამოაცხვეს. ოკლენდელებმა ინდიანა პეიზერსს უმასპინძლეს და 142:106 გაანადგურეს. მესამე პერიოდის შუაწელში მასპინძლები უკვე 100-ქულიან ზღვარს იყვნენ აცილებულნი, ხოლო „მეომართა" არქიმექულე კლეი ტომპსონს დიდი შესვენებისთვის უკვე 40 ქულა ჰქონდა მითვლილი და ეს პარკეტზე ყოფნისას 18 წუთში გაახერხა.

ტომპსონმა საბოლოოდ 60 ქულა ჩააგდო, რაც მისი პირადი და მიმდინარე სეზონის რეკორდია. ამასთან, მე-4 შედეგია უორიორზის ისტორიაში და სულ რაღაც 4 ქულით ჩამორჩება საუკეთესო მაჩვენებელს.

ოკლენდელთა მწვრთნელს შეეძლო, ტომპსონი მესამე პერიოდშიც დაეტოვებინა მოედანზე, ბოლო ათწუთეულიც ეთამაშებინა და ამ შემთხვევაში „მეომართა" სნაიპერს ეგებ 80 ქულაც გადაეფარა, მაგრამ არა – ოკლენდელთა მწვრთნელი საკუთარ პროფესიონალურ გეგმას დაემორჩილა და ბოლო წუთები მთლიანად სათადარიგოებს დაუთმო.

ტომპსონის შედეგიან თამაშში წილი უდევს ზაზა ფაჩულიასაც, რომელმაც 3 პასი მიაწოდა გოლდენსტეიტელთა ბასრ მსროლელს. მთლიანობაში კი ზაზამ 5 პასი მოაგროვა, რასაც 5 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 3 ქულა და 1 დაფარება მოაყოლა. ოკლენდელთა ქართველმა ცენტრმა 2-დან 1 საჯარიმო და 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო. ის ერთიც ზაზამ ეფექტური გდებით, სტეფ კარისგან მიღებული პასის შემდეგ მიითვალა.

17 მოგებითა და 3 წაგებით გოლდენ სტეიტი ლიგის ერთპიროვნული ლიდერია. მომდევნო მატჩში ოკლენდელები ლოს ანჯელესში კლიპერსს შეხვდებიან.

# რობერტ ლევანდოვსკი: „სწორ გზაზე ვდგავართ"

ბუნდესლიგის ვებგვერდზე გამოქვეყნდა რობერტ ლევანდოვსკის საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ, რომელშიც ის კომენტარს აკეთებს მაინცთან ჩატარებული და მომავალი დაპირისპირების შესახებ.

რობერტ ლევანდოვსკიმ კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა – მან მაინცის წინააღმდეგ ზედიზედ 4 გასვლით შეხვედრაში 2 გოლის გატანა მოახერხა.

***– რობერტ, როგორი შეაფასებდით მაინცთან გამართულ დაპირისპირებას?***

– ეს სუპერმატჩი იყო, რომელშიც ძალიან სწრაფი ფეხბურთი ვაჩვენეთ, განსაკუთრებით ეს პირველ ტაიმზე უნდა ვთქვათ. მეორე ნახევარი შედარებით ნელ ტემპში წარიმართა თუმცა მატჩს სრულად ვაკონტროლებდით რის გამოც მაინცს საგოლე მომენტებზე ხელი იშვიათად მიუწვდებოდა. საბოლოოდ ვიტყოდი რომ მშვენივრად ვითამაშეთ და მეტოქის სწრაფმა გოლმა ჩვენს თამაშზე დიდი გავლენა ვერ მოახდინა.

***– გატანილი გოლებით ძალიან კმაყოფილი ჩანდით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სტანდარტულიდან გაუტანეთ მეტოქეს.***

– მართლაც კმაყოფილი ვიყავი, როდესაც გოლის გატანა ჯარიმიდან მოვახერხე. საკუთარ შანსს ველოდებოდი, რადგან ვარჯიშებზე ძალიან ბევრს ვმუშაობდი მსგავსი სიტუაციებიდან გოლის გატანაზე.

***– მიმდინარე სეზონში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მატჩი***



***4 ფორვარდით დაიწყეთ. ისარგებლა თუ არა გუნდმა ამით?***

– ჩვენ შევძელით მრავალი მომენტის შექმნა, რადგან საჯარიმოში ძალიან ეფექტურად ვმოქმედებდით, ხშირად ვცვლიდით პოზიციებს, რამაც შედეგი გამოიღო. რასაკვირველია, ყოველ მატჩს 4 ფორვარდით ვერ ჩავატარებთ, თუმცა მაინცთან ამან ნამდვილად გაამართლა.

***– შემდეგი კითხვა ბუნდესლიგის მორიგ მატჩს ეხება, რომელიც ვოლფსბურგთან უნდა გამართოთ. „მგლების" წინააღმდეგ საკმაოდ კარგი მოგონებები გაქვთ (ლევანდოვსკიმ ვოლფსბურგს 9-წუთიან ინტერვალში 5 გოლი გაუტანა).***

– რა თქმა უნდა. ეს იყო ძალიან კარგი მატჩი, თუმცა მსგავსი შედეგის განმეორება ძალიან რთულია, მაგრამ არასდროს იცი, რა მოხდება მომავალში. ჩვენ საკუთარი თამაში უნდა ვაჩვენოთ. ვფიქრობ, რომ სწორ გზაზე ვდგავართ, აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ და ვითამაშოთ ფეხბურთი, რის შედეგსაც მომავალ დაპირისპირებებში ვიხილავთ.

# შედეგები

**5 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მიდლსბრო-ჰალი ............................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 14 | 11 | 1 | 2 | 32-11 | 34 |
| 2.არსენალი | 14 | 9 | 4 | 1 | 33-14 | 31 |
| 3.ლივერპული | 14 | 9 | 3 | 2 | 35-18 | 30 |
| 4.სიტი | 14 | 9 | 3 | 2 | 30-15 | 30 |
| 5.ტოტენჰემი | 14 | 7 | 6 | 1 | 24-10 | 27 |
| 6.მანჩესტერი | 14 | 5 | 6 | 3 | 19-16 | 21 |
| 7.ვესტ ბრომვიჩი | 14 | 5 | 5 | 4 | 20-17 | 20 |
| 8.ევერტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 17-16 | 20 |
| 9.სტოკი | 14 | 5 | 4 | 5 | 16-19 | 19 |
| 10.ბორნმუთი | 14 | 5 | 3 | 6 | 19-22 | 18 |
| 11.უოტფორდი | 14 | 5 | 3 | 6 | 18-24 | 18 |
| 12.საუთჰემპტონი | 14 | 4 | 5 | 5 | 13-15 | 17 |
| 13.მიდლსბრო | 14 | 3 | 6 | 5 | 13-15 | 15 |
| 14.კრ.პალასი | 14 | 4 | 2 | 8 | 24-26 | 14 |
| 15.ბარნლი | 14 | 4 | 2 | 8 | 12-23 | 14 |
| 16.ლესტერი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-24 | 13 |
| 17.ვესტ ჰემი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-29 | 12 |
| 18.სანდერლენდი | 14 | 3 | 2 | 9 | 14-24 | 11 |
| 19.ჰალი | 14 | 3 | 2 | 9 | 11-29 | 11 |
| 20.სუონსი | 14 | 2 | 3 | 9 | 16-31 | 9 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო-სოსიედადი ............... 5:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 14 | 10 | 4 | 0 | 37-12 | 34 |
| 2.ბარსელონა | 14 | 8 | 4 | 2 | 34-15 | 28 |
| 3.სევილია | 14 | 8 | 3 | 3 | 25-20 | 27 |
| 4.ატლეტიკო | 14 | 7 | 4 | 3 | 28-11 | 25 |
| 5.ვილიარეალი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-10 | 23 |
| 6.სოსიედადი | 14 | 7 | 2 | 5 | 23-19 | 23 |
| 7.ბილბაო | 14 | 7 | 2 | 5 | 20-17 | 23 |
| 8.ეიბარი | 14 | 6 | 3 | 5 | 21-19 | 21 |
| 9.სელტა | 14 | 6 | 3 | 5 | 24-26 | 21 |
| 10.ლას პალმასი | 14 | 5 | 5 | 4 | 25-22 | 20 |
| 11.მალაგა | 14 | 5 | 5 | 4 | 23-21 | 20 |
| 12.ესპანიოლი | 14 | 4 | 7 | 3 | 17-17 | 19 |
| 13.ალავესი | 14 | 4 | 5 | 5 | 14-17 | 17 |
| 14.ბეტისი | 14 | 4 | 3 | 7 | 17-28 | 15 |
| 15.ლეგანესი | 14 | 4 | 2 | 8 | 11-25 | 14 |
| 16.დეპორტივო | 14 | 3 | 4 | 7 | 18-24 | 13 |
| 17.ვალენსია | 14 | 3 | 3 | 8 | 19-26 | 12 |
| 18.ხიხონი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-28 | 12 |
| 19.გრანადა | 14 | 1 | 5 | 8 | 13-30 | 8 |
| 20.ოსასუნა | 14 | 1 | 4 | 9 | 13-29 | 7 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

უნიონი-ბრაუნშვაიგი .................... 2:0

**იტალია. სერია ა**

კიევო-ჯენოა .................................. 0:0

უდინეზე-ბოლონია ........................ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 15 | 12 | 0 | 3 | 32-13 | 36 |
| 2.რომა | 15 | 10 | 2 | 3 | 35-16 | 32 |
| 3.მილანი | 15 | 10 | 2 | 3 | 27-19 | 32 |
| 4.ნაპოლი | 15 | 8 | 4 | 3 | 27-15 | 28 |
| 5.ლაციო | 15 | 8 | 4 | 3 | 27-16 | 28 |
| 6.ატალანტა | 15 | 9 | 1 | 5 | 24-17 | 28 |
| 7.ტორინო | 15 | 7 | 4 | 4 | 31-19 | 25 |
| 8.ფიორენტინა | 14 | 6 | 5 | 3 | 22-16 | 23 |
| 9.სამპდორია | 15 | 6 | 4 | 5 | 19-20 | 22 |
| 10.ინტერი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-21 | 21 |
| 11.ჯენოა | 14 | 5 | 5 | 4 | 17-15 | 20 |
| 12.კალიარი | 15 | 6 | 2 | 7 | 23-32 | 20 |
| 13.კიევო | 15 | 5 | 4 | 6 | 14-16 | 19 |
| 14.უდინეზე | 15 | 5 | 3 | 7 | 19-23 | 18 |
| 15.სასუოლო | 15 | 5 | 2 | 8 | 20-26 | 17 |
| 16.ბოლონია | 15 | 4 | 4 | 7 | 14-22 | 16 |
| 17.ემპოლი | 15 | 2 | 4 | 9 | 7-24 | 10 |
| 18.პესკარა | 15 | 1 | 5 | 9 | 12-27 | 8 |
| 19.კროტონე | 15 | 1 | 3 | 11 | 12-29 | 6 |
| 20.პალერმო | 15 | 1 | 3 | 11 | 11-29 | 6 |

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-ჩეზენა ........................... 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფერეირა-ბოავიშტა ........................ 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ტომსკი ..................................... 1:0

ამკარი-ორენბურგი ......................... 3:0

კრასნოდარი-კრილია ..................... 1:1

არსენალი-ანჟი ............................... 1:0

სპარტაკი-რუბინი ............................ 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ირაკლისი-იანინა ............................ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-რიზე ...................................... 2:1

ქაისერი-ტრაბზონი ......................... 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

რუხი-არკა ........................................ 1:2

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-სონდერიისკე ........... 1:1

ოლბორგი-ლუნგბიუ ....................... 1:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# უმაღლეს ლიგას გურია და სიონი გამოეთხოვნენ

**დილა-გურია 0:0**

**(პირველი მატჩი 2:0)**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**დილა:** მუჯრიშვილი, ქარქუზაშვილი, რომარიკი, კოფი, ღონღაძე, სალუქვაძე. ელიაური (ჩახვაშვილი 86), რაზმაძე, ნონიკაშვილი, კალანდარიშვილი, ერისთავი (ბიასადილა 80)

**გურია:** იმერლიშვილი, ჩადუნელი, ცინცაძე, პეტერსონი (გელაშვილი 70), მეგრელიშვილი, ჭეჭელაშვილი, ნოზაძე, კირკიტაძე (იმნაძე 77), ბარბაქაძე (სტეფნიაშვილი 56), ფილიპე და სილვა, დინიზი

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის, უმაღლესი ლიგის პლეი-აუტის საპასუხო შეხვედრაში გორის დილა შინ ლანჩხუთის გურიას დაუზავდა. თუმცა, უგოლო მატჩის შემდეგ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მაინც გორელებმა მოიპოვეს, რადგან პირველ მატჩში გურიას სტუმრად 2:0 მოუგეს. ლანჩხუთელები კი რანგით პირველ ლიგაში იასპარეზებენ.

თამაში დაბალ ტემპში მიმდინარეობდა. ეს გასაკვირიც არ იყო, რადგან გორელებს კომფორტული უპირატესობა ჰქონდათ მოპოვებული და გამწვავებას არ ცდილობდნენ, სამაგიეროდ, თავს კარგად იცავდნენ და ხიფათის შექმნას არც მეტოქეს აცდიდნენ.

24-ე წუთზე გურიამ გაიტანა, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა. 32-ე წუთზე ახლო მანძილიდან კალანდარიშვილის შესრულებულ სტანდარტი სტუმართა მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

71-ე წუთზე გორელთა შემტევმა კალანდარიშვილმა ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა და მატჩის ყველაზე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

75-ე წუთზე პატერსონის ჩაწოდებას ლანჩხუთელთა სახიფათო თავური მოჰყვა, თუმცა მუჯრიშვილმა დამაჯერებლად იმოქმედა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

საბოლოოდ შეხვედრა უგოლოდ დასრულდა და კიდევ ერთი გუნდი გაარკვია, რომელიც ელიტას დაემშვიდობა.



**შუქურა-სიონი 2:0**

**(პირველი მატჩი 3:4)**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

**1:0 გურული (40), 2:0 ჯეფინიო (90)**

**შუქურა:** ჯიოევი, კომახიძე, მირცხულავა, ადამაძე, ჩაჩუა, ჭეჟია, ჯეფინიო, კუტალია, კონუეჰა (საბაძე 46), ბერიაშვილი, ს.გურული (მამულაშვილი 88)

**სიონი:** დაუშვილი, სვანიძე (კობახიძე 64, უგულავა 77), კასრაძე, გაფრინდაშვილი (ლობჯანიძე 68), თოთაძე, ხურცილავა, ვასაძე, ჯანელიძე, ძარია, სიხარულიძე, ვოლკოვი

**გაძევება:** დავით ხურცილავა (71)

1995 წელს უმაღლეს ლიგაში გადასული ბოლნისის სიონი გუშინდელ დღემდე ინარჩუნებდა ადგილს ელიტაში, მაგრამ უმაღლეს ლიგისთვის გამომშვიდობება მაინც მოუწია, ხოლო ქობულეთის შუქურამ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა.

პლეი-აუტის პირველ მატჩში ქობულეთელები სტუმრად ბოლნისის სიონთან 3:4 დამარცხდნენ, ხოლო საპასუხო მატჩში 2:0 გაიმარჯვეს.

არადა, მატჩი ისე დაიწყო, თითქოს ორივე გუნდს ფრე აწყობდა და მხოლოდ ბურთის მშვიდად გორებით იყვნენ დაკავებული. თითქოს მცდელობები იყო, მაგრამ ხეირიანი არაფერი.

შესვენებამდე 5 წუთით ადრე, ბრაზილიელმა ჯეფინიომ მარცხენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა და შორეულ ძელთან უმეთვალყურეოდ დარჩენილმა სანდრო გურულმა ანგარიში გახსნა – 1:0. გუნდები შესვენებაზე ასე გავიდნენ...

მეორე ტაიმი უფრო აქტიურად სიონს უნდა დაეწყო, რადგან ეს ანგარიში ხელს არ აძლევდა, მაგრამ, პირიქით, შუქურა უფრო მონდომებული ჩანდა და მალე სტუმრები მე-2 გოლს გადაურჩნენ – გურულის ჩაწოდების შემდეგ კომახიძე ნახტომში ბურთს მისწვდა, მაგრამ ვერ გაიტანა. მალევე ანალოგიურ პოზიციაში მყოფ გიორგი ბერიაშვილს თავით უფრო ძლიერად რომ დაერტყა, ანგარიშში სხვაობა გაიზრდებოდა.

71-ე წუთზე სიონს სიტუაცია კიდევ უფრო დაუმძიმდა და მოედანზე კაცნაკლული დარჩა. 77-ე წუთზე სიონმა იძულებითი შეცვლაც გააკეთა, რადგან დავით სვანიძის მაგივრად მოედანზე შესული ოთარ კობახიძე დაშავდა და თავად შესაცვლელი გახდა.

შემდეგ გურულმა საჯარიმოს ფარგლებს გარედან დაარტყა და სტუმართა ერთ-ერთი მოთამაშის ფეხიდან ბურთი ძელს მოხვდა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ, ბერიაშვილი საჯარიმოში ერთ მცველს გასცდა და პასი ბრაზილიელ ჯეფინიოს მისცა, რომელსაც ახლოდან ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია – 2:0 და ყველაფერი გაირკვა.

# ქობალია ერთი წლით მოკვეთეს, ჩელებაძე და კლუბები ფინანსურად დაისაჯნენ




საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტის სხდომა გაიმართა. სხდომაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს, რომელთაგან ყველაზე დიდ ინტერესს ხობის კოლხეთის თავდამსხმელ ირაკლი ქობალიას ინციდენტი იწვევდა.

2 დეკემბერს, პირველი ლიგის პლეი-აუტის საპასუხო მატჩში, რომელშიც წალენჯიხის სქური ხობის კოლხეთს მასპინძლობდა, სტუმართა გუნდის ფეხბურთელმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრ გიორგი დოგრაშვილს, მერე კი წითელი ბარათის ჩვენება ფიზიკური შეურაცხყოფით გააპროტესტა. მსაჯი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მატჩი კი ჩაიშალა. სადისციპლინო და დავების განმხილველმა კომიტეტმა მეორე დღეს გამართულ საგანგებო სხდომაზე ხობის კოლხეთი 5.000 ლარით დააჯარიმა და 0:3 წაგება ჩაუთვალა.

ამჯერად კომიტეტის წევრებმა თავად ფეხბურთელის საკითხი განიხილეს. მოუსმინეს კლუბის წარმომადგენლებს, გაეცნნენ მატჩზე დამსწრე ოფიციალურ პირთა პატაკებს და დაადგინეს: ირაკლი ქობალიას აეკრძალოს თამაში 2018 წლის 1 იანვრამდე.

მსაჯზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა დაფიქსირდა მეორე ლიგის გადამწყვეტ მატჩშიც: თბილისის შევარდენისა და სოხუმის ცხუმის შეხვედრაში სტუმართა გუნდის ორმა ფეხბურთელმა არბიტრ გიორგი ვადაჭკორიას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტის გადაწყვეტილებით: დავით იაშვილსა და გიორგი ხარებაშვილს აეკრძალათ თამაში 1 წლით.

უმაღლესი ლიგის პლეი-აუტის პირველ მატჩში, ბოლნისის სიონისა და ქობულეთის შუქურას დაპირისპირებაში მომხდარ დარღვევებზე სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებები ასეთია:

ქობულეთური გუნდის ფეხბურთელები კობა შალამბერიძე და ზურაბ მალანია გაძევებების გამო დაისაჯნენ 2-2 მატჩით და 400-400 ლარით. შუქურას ხელმძღვანელი რევაზ ჩელებაძე მსაჯებისა და ფეხბურთელების მიმართ გამოხატული მიუღებელი ლექსიკისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო დაჯარიმდა 3.000 ლარით და მიეცა ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაცია. ამ პერიოდში დაფიქსირებული განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში ჩელებაძეს 6 თვით აეკრძალება საფეხბურთო საქმიანობა. ბოლნისის სიონის გულშემატკივრების მიერ მსაჯებისა და ფეხბურთელების მიმართ არაერთხელ გამოხატული შეურაცხმყოფელი სკანდირების გამო კლუბი დაჯარიმდა 10.000 ლარით და სტადიონის 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციით.

ასევე უმაღლეს ლიგაში, გორის დილას და ფოთის კოლხეთის მატჩში ერთმანეთის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააძევეს დილას კაპიტანი ალექსანდრე კვახაძე და ფოთელთა მცველი რასიმ რამალდანოვი. ვინაიდან კვახაძისთვის ეს არ იყო პირველი შემთხვევა, სადისციპლინო და დავების განმხილველმა კომიტეტმა მას 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 2.000-ლარიანი ჯარიმა გამოუწერა. ასევე კვახაძეს მიეცა ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაცია. 2 მატჩით და 400 ლარით დაისაჯა რასიმ რამალდანოვი.

მარტვილის მერანთან, ბათუმის დინამოსთან და თბილისის დინამოსთან გამართული ზედიზედ 3 მატჩის დროს გულშემატკივართა მხრიდან გამოყენებული პიროტექნიკის გამო, ასევე ზესტაფონში გამართული საქართველოს თასის ფინალისას ასაფეთქებელი პიროტექნიკით დაზიანებული მინდვრის საფარისა და დამტვრეული სკამების გამო, ქუთაისის ტორპედო დაისაჯა 5.500 ლარით.

ქუთაისურ მატჩში პიროტექნიკის ანთებისა და სარბენ ბილიკზე გადაყრის გამო დაისაჯა თბილისის დინამოც – დედაქალაქური კლუბი 2.000 ლარით დაჯარიმდა.

**მამაკაცების განჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# მოუფრთხილდით სისხლძარღვებს

ეკა ირემაშვილი



ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანს სხვადასხვა დაავადება აწუხებს. ექიმთან დროული ვიზიტი მას ნებისმიერი დაავადების გართულებას აცილებს თავიდან.

ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობა, ცალკეული ორგანოების სრულყოფილი ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სისხლძარღვთა მდგომარეობაზე.

ბევრი მძიმე და სახიფათო დაავადება სწორედ სისხლძარღვთა პათოლოგიებიდან ან მათი ასაკობრივი ცვლილებებიდან იღებს სათავეს.

პაციენტებისათვის პრობლემურ საკითხებზე ინფორმაციისა და კომპეტენტური რჩევების მიღების მიზნით სისხლძარღვთა ქირურგს, ბატონ გიორგი ხელაძეს გავესაუბრეთ:

***– რა შემთხვევაში უნდა მიმართოს პაციენტმა ანგიოქირურგს?***

– პაციენტმა ანგიოქირურგს უნდა მიმართოს, როდესაც აღენიშნება შემდეგი ტიპის ჩივილები: ტკივილი ქვემო კიდურებში, უპირატესად კანჭის კუნთებში 200 მეტრის ან უფრო მცირე მანძილის გავლის შემდეგ.

***– რა სიმპტომებს უნდა მიაქციოს ყურადღება პაციენტმა?***

– შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში წყლულების არსებობა ქვემო კიდურებზე, ხშირად თითებსა და ტერფებზე, თავბრუსხვევა, ყურებში შუილი, კოორდინაციის დარღვევა, გონების კარგვის ეპიზოდი ახლო წარსულში, ამპუტაციის შემდგომი მდგომარეობა, როდესაც პაციენტს აქვს ერთადერთი ქვემო კიდური, მისი შენარჩუნების მიზნით, მაგისტრალური და პერიფერიული სისხლძარღვების ანევრიზმები, რომელიც ნანახია ექოსკოპიითა თუ კომპიუტერული ტომოგრაფიით, ვარიკოზული ვენური კვანძები, გადატანილი ვენური თრომბოზები, წყლულების არსებობა წვივებსა და ტერფზე.

***– რა მნიშვნელობა აქვს ანგიოქირურგთან განხორციელებულ დროულ ვიზიტს?***

– ანგიოლოგიურ პაციენტების აღენიშნებათ სხვადასხვა ვენისა და არტერიის დაზიანებები, რომელიც იწვევს კიდურში ტროფიკულ და იშემიურ დარღვევებს. არტერიის დახშობის დროს ადგილი აქვს კიდურში სისხლის მიწოდების დარღვევას, რაც იწვევს პერიოდულად ქსოვილის კვდომას. დაგვიანებულ შემთხვევებში ძნელია ასეთი ტიპის კიდურის გადარჩენა, როდესაც ადრეულ შემთხვევებში მხოლოდ ერთი ნაჩხვლეტით, განაკვეთისა და ნაწიბურის გარეშე შესაძლებელია ადამიანის დახმარება.

## გერმანელი კათოლიკეები „უღმერთო სანტა-კლაუსის“ წინააღმდეგ



გერმანულმა კათოლიკურმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ ბავარიის ქალაქ პასაუში გახსნა „ზონა სანტა-კლაუსის გარეშე“. ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ეპისკოპოსმა და სატელევიზიო კონკურსის ნიჭიერის მონაწილეებმა.

აქციის ორგანიზატორები განმარტავენ, რომ თავიანთი ამ ჟესტით სურდათ ეჩვენებინათ ქრისტიანული ტრადიციების და ფასეულობების მნიშვნელობა. მათი აზრით, „უღმერთო სანტა-კლაუსის“ გამო, ახალგაზრდები ივიწყებენ ნამდვილ გერმანულ დღესასწაულებს, როგორიცაა წმინდა ნიკოლოზის დღე, რომელიც გერმანიაში ექვს დეკემბერს აღინიშნება.

ტრადიციულად, საშობაო დღესასწაულის დროს, გერმანელები ყიდულობენ შოკოლადის სანტა-კლაუსებს. კათოლიკური ორგანიზაცია კი წინადადებას აყენებს, ისინი შეიცვალოს შოკოლადის ფილებით, რომლებიც მკაცრი ეთიკური და ეკოლოგიური სტანდარტების დაცვით იქნება დამზადებული, ან უკიდურეს შემთხვევაში, შოკოლადის სანტა წმინდა ნიკოლოზის ქაღალდის კოსტიუმში გამოაწყონ.

## მოკლეკაბიანი პრინცესა დიანას ქანდაკების პროექტმა ლონდონელები გაანაწყენა

პრინცესა დიანას უცნაური ქანდაკება, მისი დაღუპვიდან 20 წლისთავზე, შესაძლოა, ბრიტანეთის დედაქალაქის ტრაფალგარის მოედანზე დაიდგას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხუთი მეტრის სიმაღლის პრინცესა მინი-კაბასა და ქუსლიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი ამხედრებული იქნება ცხენზე, რომელიც თავის მხრივ გადაბრუნებული ავტომობილის ფორმის კვარცხლბეკზე იდგმება.



ლონდონელების აზრით, ეს ძეგლი შოკში ჩააგდებს ათასობით ტურისტსა და გამვლელს.

– ეს გარდაცვლილი დიდებული პრინცესას ხსოვნის შეურაცხყოფაა, რომელიც ჩვენ ყველას ასე ძალიან გვიყვარდა, – ამბობენ ლონდონელები, – ეს გროტესკია, ფულის აბსურდული ხარჯვა.

ძეგლის დადგმის გეგმა მას შემდეგ გაჩნდა, როდესაც პრინცმა ჰარიმ განაცხადა, რომ მას და მის ძმას სურთ, რომ ლონდონში რაიმე გაჩნდეს ისეთი, რომელიც მათი დედის ხსოვნას უკვდავყოფს.

ქანდაკების ავტორია პოლ ვეილე, რომლის თქმით, მისი ნამუშევარი არის აქტიური, ამაყი და საკუთარ თავში დარწმუნებული ქალის გამოსახულება.

მართალია, ძეგლის საბოლოო დიზაინი შესაძლოა შეიცვალოს, მაგრამ მასში 430 ათასი ფუნტის გადახდა საზოგადოებაში კმაყოფილებას არ გამოიწვევს, ასეთ აზრს გამოთქვამს ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ნესტლე შოკოლადში შაქრის შემცველობას შეამცირებს

შვეიცარიულმა კომპანია ნესტლემ გამოაცხადა, რომ აპირებს შაქრის შემცველობა 40 პროცენტით შეამციროს მის მიერ წარმოებულ შოკოლადში. როგორც კომპანიაში ამტკიცებენ, მისმა მკვლევარებმა შაქრისთვის სხვა ახალი სტრუქტურის მიცემა ისწავლეს. შედეგად ის უფრო სწრაფად დნება და უფრო ტკბილი გამოდის. ეს კი შოკოლადში მისი შემცველობის რაოდენობის შემცირების საშუალებას იძლევა, ისე რომ, ის თავის საგემოვნო თვისებებს არ კარგავს.

ამჟამად კომპანია ამ ტექნოლოგიის დაპატენტებას ცდილობს. ნესტლეში შაქრის ნაკლები შემცველობის პროდუქტების წარმოების დაწყებას 2018 წლიდან გეგმავენ.

შეგახსენებთ, რომ შაქარი შოკოლადის ერთ-ერთ ძირითად ინგრედიენტს წარმოადგენს, ზოგიერთი სახეობის პროდუქტი კი ამ ნივთიერების 60 პროცენტს შეიცავს.

## თახვმა მაღაზია დაარბია

ამერიკის მეილენდის შტატის ქალაქ შარლოტ ჰოლში მდებარე ერთ-ერთ მაღაზიაში თახვმა შეაღწია და დაამსხვრია თაროები, რომლებზეც ხელოვნური ნაძვის ხეები ეწყო. ამ ინფორმაციას ვაშინგტონ პოსტი ავრცელებს.

ცხოველმა მაღაზიაში შეღწევის შემდეგ საშობაო საჩუქრები გადააყირავა, შემდეგ კი მისი ყურადღება თაროებზე დაწყობილმა ხელოვნურმა ნაძვის ხეებმა მიიპყრო.

მაღაზიის თანამშრომლებმა პოლიცია გამოიძახეს. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ვეტერინარულ სამსახურში დარეკეს, შემდეგ კი თახვის მიერ მოწყობილი დარბევა გადაიღეს და ფოტოსურათები ტვიტერში გამოაქვეყნეს.

სპეციალისტებმა ცხოველის დაჭერა მოახერხეს, ის ჯერ დაანაყრეს, შემდეგ კი ტყეში წაიყვანეს და გაუშვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი
### 7 დეკემბრისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა აქტიური დასვენებისათვის, თქვენთვის სასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. **კურო** – ბედი გწყალობთ. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – თქვენი აქტიურობა დაფასდება და სასურველ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს განსაკუთრებით გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** – დღეს მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით, რათა ყოველგვარი უსიამოვნება და გაუგებრობა თავიდან აიცილოთ. **ლომი** – განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნურაფერს დაგეგმავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი სულიერ წონასწორობას მოგიტანთ. პარტნიორების დარწმუნებას დაუბრკოლებლად მოახერხებთ. **სასწორი** – ყველა პრობლემა წარსულში რჩება. გიმართლებთ რომანტიკულ ურთიერთობებში. **ღრიანკალი** – საქმიანი შეხვედრებისა და მივლინებებისათვის შესაფერისი დღეა. წინდაუხედაობა პრობლემებს შეგიქმნით. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ მოვალეობას პირნათლად ასრულებთ. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად იზრდება. **მერწყული** – პასიური, მშვიდი დღეა. კოლეგები და პარტნიორები მხარს გიჭერენ. **თევზები** – თვითდამკვიდრებას მშვენივრად ახერხებთ. ხელმძღვანელი პირები თქვენს მუშაობას სათანადოდ დააფასებენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 2. მაღალხარისხოვანი მინა; 3. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 4. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ცოცხალ ორგანიზმში; 5. კურორტი რაჭაში; 6. თავხედური გულახდილობა; 9. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი ბოლნისის რაიონში; 10. ფრენის სიმაღლის გასაზომი ხელსაწყო; 11. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 14. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 16. ხრახნული კონვეიერი; 18. სამშენებლო მინერალი, ძვირფასი მოსაპირკეთებელი მასალა; 20. ბუნებაში საორიენტაციო ხელსაწყო; 23. ჩასაბერი, სპილენძის მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 25. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 26. თეატრის მსახიობთა კოლექტივი.

**თარაზულად**: 7. დაბეგვილი და შემწვარი ძროხის ხორცის ნაჭერი; 8. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 12. ატმოსფერული ნალექი; 13. იაპონელი მოდელიერი; 15. მზის სისტემის პლანეტა; 17. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 19. მგალობელი ჩიტი; 21. მამათა მონასტერი; 22. გარითმული აფორიზმი; 27. ვულკანი ტირენიის ზღვაში; 28. გერმანული ავტომობილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სუფლიორი; 2. ნაღმი; 3. სიბარიტი; 4. ჰენესი; 7. დიუნა; 9. ბელგა; 12. ბრიჯსტოუნი; 14. ჯოყოლა; 15. მეეზოვე; 17. გუანაკო; 20. ოხორი.

**თარაზულად:** 5. კუროსავა; 6. ფრიკასე; 8. კომოციო; 10. მონოტიპი; 11. ბრუნეი; 13. გეიმერი; 16. ბარიტონი; 18. პულსი; 19. ქერჩი; 21. სხალთა; 22. ავადჰარა; 23. მირკანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პეჟო; 2. აია; 3. მაკიაველი; 4. ქანდა; 5. მეჯლისი; 8. კოპი; 9. ჩაკრულო; 10. ინჟინერი; 12. კოდორი; 13. გროგი; 15. ამირა.

**თარაზულად:** 1. პუბლიკა; 4. ჩანტლაძე; 7. ჟოკეი; 10. იტილი; 11. სპორა; 13. გორდი; 14. შტაბი; 16. ოქრო; 17. ითხვისი; 18. ლეკალო.

# ქრისტინე იმედაძეს სამოსის საკუთარი ბრენდი აქვს



მომღერალსა და ტელეწამყვან ქრისტინე იმედაძეს სამოსის საკუთარი ბრენდი აქვს. ქრისტინემ სოციალურ ქსელში უკვე განათავსა ფოტოები, სადაც თავისი დიზაინით შექმნილი კოლექციები გამოფინა.

ქრისტინეს მიერ შექმნილი სამოსის სახე თავად მომღერალია. მისი გადაწყვეტილებით, ბრენდს „შამი" ჰქვია.

მომღერალმა ამ სფეროში დიდი ხანია, საკუთარი შესაძლებლობები მოსინჯა და ფართო საზოგადოებისა თუ მეგობრების მოწონებაც დაიმსახურა. ქრისტინემ თავდაპირველად სპორტულების რამდენიმე ნიმუში შექმნა, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად, შემდეგ კახაბერის ხანუმებისთვისაც შექმნა მოდელები.

ახლა ქრისტინეს საკუთარი ბრენდი აქვს, რომელიც მომხმარებელს ორიგინალურ და კომფორტულ სამოსს შესთავაზებს, რაც მთავარია, როგორც თავად ქრისტინე აღნიშნავს – ხელმისაწვდომ ფასად.

პირველი სამი მოდელი ქრისტინეს პირველი კოლექციიდან უკვე განთავსდა ოფიციალურ გვერდზე და ფასებიც მალე გახდება ცნობილი. მომხმარებელი უკვე დაინტერესდა ქრისტინეს ნამუშევრებით და ბრენდთან დაკავშირებით შეკითხვებსაც აქტიურად სვამს.

# ქართველი მსახიობი ევროპის კინოაკადემიის წევრად აირჩიეს



რუსთაველის თეატრის მსახიობი ედმონდ აბაშიძე-მინაშვილი ევროპის კინოაკადემიის ოფიციალურ წევრად აირჩიეს.

ინფორმაცია და დამადასტურებელი დოკუმენტები ამის შესახებ მსახიობმა თავად გაავრცელა:

– ევროპის კინოაკადემიის ოფიციალური წევრი ვარ ამა წლის 21 ნოემბრიდან. დიდი მადლობა, ევროპავ ჩემო, დიდი მადლობა, პატივცემულო აკადემიკოსებო.

# ზვიად ბერიაშვილის ოჯახის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება



10 დეკემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება ლოტბარისა და მომღერლის ზვიად ბერიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

კონცერტიდან შემოსული თანხა სრულად გადაერიცხება ზვიადის ოჯახს.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლები რუსთავი, ბასიანი, იმერი, ერისიონი, თბილისი, შვიდკაცა, შავნაბადა, დიდგორი, სახიობა, ანჩისხატი, იბერი, მუხამბაზი, ერთობა, ქალდეა, დავითიანნი და სამების საპატრიარქო გუნდი.

ზვიად ბერიაშვილი 37 წლის ასაკში რამდენიმე თვის წინ სიმსივნით გარდაიცვალა. ახმეტელის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი სამკურნალოდ თურქეთში წავიდა. თბილისის აეროპორტიდან ის უახლოესმა მეგობრებმა მრავალჟამიერის თანხლებით გააცილეს. მის დასახმარებლად არაერთი საქველმოქმედო კონცერტი და სპექტაკლი გაიმართა, თუმცა ექიმებმა ზვიადის გადარჩენა ვერ შეძლეს.

ხელოვანის მკურნალობა სოლიდურ თანხებთან იყო დაკავშირებული. მისი მეუღლე და სამი ქალიშვილი უსახლკაროდ დარჩნენ.

ზვიადის მეგობრები ცდილობენ, ეტაპობრივად ჩაატარონ საქველმოქმედო სპექტაკლები და კონცერტები და მის ოჯახს დაეხმარონ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ავსტრალიელმა საშობაო ნაძვის ხე ლუდის ქილებისგან ააწყო



ავსტრალიის ქალაქ პერტის მცხოვრებმა დადგა საშობაო ნაძვის ხე, რომელიც ლუდის ქილებისგან ააწყო. ვიდეოჩანაწერი ინსტალაციით ადგილობრივმა გამოცემამ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა. ერთ დღეში ის 780 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

გამოცემის ინფორმაციით, მედ ბოგანმა თავისი მეგობრების მხარდაჭერით 14 თვე მოანდომა ნაძვის ხის შექმნას. მისი სიმაღლე 4,4 მეტრია, და მის აგებას 2,5 ათასზე მეტი ლუდის ქილა დასჭირდა.

# ირინა შეიკი ფეხმძიმედაა



რუსი მოდელი ირინა შეიკი და ჰოლივუდის მსახიობი ბრედლი კუპერი მშობლები გახდებიან. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სამოდელო მარკის ვიქტორია სიქრეთსის ჩვენებაზე დამსწრე რეპორტიორები, რომლებმაც მოდელის საგრძნობლად მომრგვალებული მუცელი შენიშნეს.

კოლეგებისგან განსხვავებით, რომლებიც საცვლებსა და ბიკინიში გამოწყობილები გამოდიოდნენ პოდიუმზე, შეიკი საზოგადოების წინაშე ჟაკეტით წარდგა, ხოლო მეორე გამოსვლის დროს ლაბადით. თუმცა ეს ტანსაცმელი მას ვერ დაეხმარა მისი სხეულის ცვლილებების დაფარვაში.

შეიკისა და კუპერის წარმომადგენლები ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ. თუმცა მოდელის გარემოცვასთან დაახლოებული ინფორმირებული წყარო ამტკიცებს, რომ შეიკი სამი თვის ფეხმძიმეა და თავს მეტად ბედნიერად გრძნობს.

იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია დადასტურდება, 30 წლის შეიკი და 41 წლის კუპერი პირველად გახდებიან მშობლები. ისინი ერთმანეთს 2015 წლიდან ხვდებიან. მათი რომანი კი მოდელის ფეხბურთელ კრიშტიანუ რონალდუსთან დაშორების, ხოლო ბრედლის ბრიტანელ მოდელ სიუკი უოტერჰაუსთან დაშორების შემდეგ დაიწყო.

# სუპერმოდელები შოუს შემდეგ ბურგერებსა და ალკოჰოლს მიეძალნენ



პარიზში მოდის ჩვენების დასრულების შემდეგ ვიქტორია სიქრეთსის „ანგელოზებმა" რესტორანს მიაშურეს, სადაც საკმაოდ კალორიული საკვები შეუკვეთეს, მათ შორის ბურგერები, კარტოფილი ფრი და ალკოჰოლური კოქტეილები. რესტორანში გადაღებული ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

ვიდეორგოლი ერთ-ერთმა მოდელმა, ამერიკელმა ბელა ჰადიდმა გამოაქვეყნა. 20 წლის მანეკენის გარდა, რესტორანში ასევე მოილხინეს კენდალ ჯენერმა, ჯიჯი ჰადიდმა, ჯოან სმოლსმა და ლილი დონალდსონმა. გოგონებს ასევე თან ახლდნენ მათი ნაცნობები, რომლებიც ღონისძიების თანამშრომლები იყვნენ.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

**ქალბატონი ქეთათო**

# ამერიკელ მასწავლებელს მოზარდებთან რომანისთვის ჩასვამენ

ამერიკის კონექტიკუტის შტატის ერთ-ერთი უძველესი სკოლის მასწავლებელს სამი წლით ციხეში მიუჩენენ ადგილს ორ არასრულწლოვან მოსწავლესთან ურთიერთობის და ეროტიკული შინაარსის შეტყობინებების გაგზავნის გამო.

39 წლის ელისონ მარკიზი სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობდა. ორი შვილის დედას ბრალი დასდეს 17 და 14 წლის მოსწავლეებთან უღირსი შინაარსის მიმოწერაში. აღსანიშნავია, რომ ის მათ ეროტიკული შინაარსის საკუთარ სელფებს უგზავნიდა. ერთ-ერთი მოსწავლე შეეცადა მასწავლებელი ამ ფოტოების გამოყენებით დაეშანტაჟებინა და მისთვის ფული გამოეძალა.

საკუთარი თავის დასაცავად მარკიზიმ განაცხადა, რომ ეროტიკული ავტოპორტრეტები განკუთვნილი იყო არა მოზარდებისთვის, არამედ თავისი ყოფილი მეუღლის რობერტისთვის, რომელიც იმავე სკოლაში მუშაობს. საქმის გამოძიების დროს, მამაკაცის თქმით, მისი ყოფილი მეუღლე სოციალურ ქსელებზე დამოკიდებული გახდა და რეგულარულად იყო დაკავებული ფიტნესით საკუთარი გარეგნობის გასაუმჯობესებლად. მან ასევე ისაუბრა თავისი ყოფილი მეუღლის, წარმოშობით კანადელის, ერთ-ერთ მოსწავლესთან სქესობრივ ურთიერთობაზე, რაც მათი განქორწინების მიზეზი გახდა.



*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



**ელექტროლეიბი – ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160
რეჟიმი: 2
დაცულია გადახურებისგან.

**ფასი 30 ლარი**

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე);**
**ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

## პროგრამა

**ოთხშაბათი 7 დეკემბერი**

**06.00** მუსიკა პირველზე **07.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო"- **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "წიგნების თარო" **14.30** "დღე მუზეუმში" **15.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **23.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მატჩი **01.40** საფეხბურთო მიმოხილვა **02.00** მხ/ფ "**წყვილების კუნძული**"

**08.00** დ/ფ "ბირთვული კატასტროფა-იაპონიის ტრაგედია" **09.00, 17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**იდეალური მამაკაცი**" **12.00** ტ/სერ. "**დღეები ლეონესთან ერთად**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "მეფის მუმიის საიდუმლო" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**კრიმინალური სეზონი**" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.00 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" ჯგუფური ეტაპის მატჩი

**06.30 , 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ."**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სერ. "**ჰეროკრატია (9+1)**" **00.30** მხ/ფ "**დარჩენილი დრო**" **02.45** მხ/ფ "**იღბლიანი სლევინი**" **04.30** მხ/ფ "**საბედისწერო ლტოლვა**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** ნანუკას შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ავატარი**" **9.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. "**ლურჯის ელფერები**" **23.00** სერ. "**მისტერ რობოტი**" **0.30** სერ. "**ქერჩი**" **1.40** მხ/ფ "**უკანასკნელი სამურაი**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" **11.20** ბიბლია ბავშვებისათვის **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ქვილთი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ "მსოფლიო საგანძური" **15.45** კონცერტი-ანსამბლი "გეორგიკა" **17.00** აქტუალური თემა "თამბაქო" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**გიორგობის თვე**" **20.40** ძილი ნებისა "თავგაუტეხელი კაცი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ღვთის სახლი (ციკლური გადაცემა) **21.35** ეპოქის სახელები (ციკლური გადაცემა) **22.00** სიახლენი **22.25** ქართული ალბომი (ციკლური გადაცემა) **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დეკორატიული ფლორა "ზამბახი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** სათანვებთან "გიორგი ლეონიძე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"(ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00** სერ. "**ყველაფერი ახლა იწყება**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 23.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 2.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ვინ თუ არა მე**" **21.55** სერ. "**გემი**" **22.40** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


7 დეკემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.55998

ევრო — 2.7234

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2558

100 რუსული რუბლი — 4.0149

## ამინდის პროგნოზი 7 დეკემბრისთვის




## 6 დეკემბრიდან

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



შტეფან ცვაიგი

# მოუთმენლობა გულისა

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## 1 დეკემბრიდან

# ჯაშუშები და ჯაშუშობა




კლაივ გიფორდი

„ჯაშუშები და ჯაშუშობა“ სახალისო და შემეცნებითი წიგნია, რომელიც გაგაცნობთ სხვადასხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებს, გიამბობთ ისტორიაში ყველაზე განთქმულ ჯაშუშთა ბიოგრაფიებს.

გაიგებთ, თუ როგორ იყენებენ ისეთ უცნაურ იარაღებს, როგორებიცაა: თოფი-პომადა, სხეულში რადიო-ჩამონტაჟებული ცოცხალი კატა.

შეიტყობთ ყველაზე გახმაურებული სპეცოპერაციების შესახებ და გაეცნობით უამრავ საიდუმლო ინფორმაციას.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## 8 დეკემბრიდან




# ალადინი

64 ფერადი გვერდი, მაგარი ყდა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## იუმორი



ცოლი ქმარს ურეკავს და ეუბნება:

– ძვირფასო, პატრულმა გამაჩერა სდექ ხაზის გადაკვეთისთვის და როგორ მოვიქცე?

– ტელეფონი მიეცი, დაველაპარაკები.

ქმარი პატრულს ეუბნება:

– მომისმინე, ძმურად, ნახევარი წლით მართვის მოწმობის ჩამორთმევა გამოუწერე რა და შენი მადლობელი ვიქნები, ახლა კი ტელეფონი ჩემ ცოლს მიეცი.

პატრულმა ტელეფონი ქალს დაუბრუნა, ქმარი ეუბნება:

– ძვირფასო, ყველაფერზე შევუთანხმდი, შენ მხოლოდ ოქმზე ხელი მოუწერე!

•••

ქმარი სახლში ადრე დაბრუნდა და ხედავს, მის ცოლთან მისი მეგობარი წევს, კაცმა ამოიღო პისტოლეტი და მეგობარი მოკლა.

ცოლი ეუბნება:

– შენ რა, გააფრინე? ასე ხომ მეგობრების გარეშე დარჩები!!!

•••

რუსს ეკითხებიან:

– მართალია, რომ, შესაძლოა, რუსეთში იუთუბი აკრძალონ?

– რუსეთში ყველაფერია შესაძლებელი. ის თავისუფალი ქვეყანაა და შეზღუდვები არ არსებობს!

•••

თანამდებობის პირი ქმარი მდივანს ეძებს. ეჭვიანი ცოლი ეუბნება:

– არ გაბედო ახალგაზრდა, ლამაზი და სექსუალური გოგონას მდივნად აყვანა. მონახე გათხოვილი, ასაკოვანი ქალი, თუ მსუქანიც იქნება, უკეთესია, ფიქრადაც ვერ გაივლებ ჩემს ღალატს.

– რა პრობლემაა, ძვირფასო, ორშაბათიდან სამსახურში გამოსვლას შეძლებ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

## სერია „ცამეტის“ წიგნი

### 2 დეკემბრიდან

თომას ჰარისი

# კრავთა დუმილი

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

სერია „ცამეტი“ აერთიანებს თრილერის ჟანრის 13 რჩეულ ნაწარმოებს




## სერია „ცამეტის“ წიგნი




### 9 დეკემბრიდან

აირა ლევინი

# როზმარის შვილი

ფასი გაზეთთან ერთად 13 ლარი

სერია „ცამეტი“ აერთიანებს თრილერის ჟანრის 13 რჩეულ ნაწარმოებს

## ფაბრეგასი დისკვალიფიკაციას გადაურჩა

ჩელსის ესპანელი ნახევარმცველი სესკ ფაბრეგასი დისკვალიფიცირებული არ იქნება, რადგან ინგლისის საფეხბურთო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ჩათვალა, რომ ფაბრეგასი არ იყო დამნაშავე იმ ინციდენტში, რომელიც ჩელსი-მანჩესტერ სიტის მატჩის ბოლოს მოხდა.

ჩელსიმ ის შეხვედრა 3:1 მოიგო, ხოლო თამაშის ბოლო წუთზე სერხიო აგუერო დავიდ ლუისს ძალიან უხეშად ეთამაშა, რის შემდეგაც მოედანზე ჩხუბი დაიწყო. სიტის ფეხბურთელმა ფერნანდინიომ ფაბრეგასს ხელი ჰკრა, რის შემდეგაც ის გააძევეს, ფაბრეგასმა კი მხოლოდ ყვითელი ბარათი მიიღო.



ცნობილი გახდა, რომ სერხიო აგუეროს 4 მატჩის გამოტოვება მოუწევს, ხოლო ფერნანდინიო თავის გუნდს 3 შეხვედრაში ვერ დაეხმარება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მარიო გიოტცე რეალთან ვერ ითამაშებს

დორტმუნდის ბორუსიის ნახევარმცველ მარიო გიოტცეს მცირე ტრავმა აქვს, რის გამოც ის, სავარაუდოდ, მადრიდის რეალის წინააღმდეგ შეხვედრას გამოტოვებს. რეალთან მატჩი მნიშვნელოვანია, რადგან, არწაგების შემთხვევაში, ბორუსია ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს, რეალი კი მხოლოდ მეორე პოზიციას დასჯერდება. მიუხედავად ამისა, დორტმუნდელების მთავარ მწვრთნელ ტომას ტუჰელს გარისკვა არ სურს და გიოტცეს თამაში ნაკლებად სავარაუდოა.

შეხვედრა 7 დეკემბერს, თბილისის დროით 23.45 საათზე დაიწყება. ბორუსია რეალისთვის, ტრადიციულად, უხერხული მეტოქეა, რომელთანაც თამაში მადრიდელებს ყოველთვის უჭირთ.

## დიეგო სიმეონე ინტერის გაწვრთნას აპირებს



მადრიდის ატლეტიკოს არგენტინელმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ აღიარა, რომ მომავალში მას მილანის ინტერის გაწვრთნა სურს, თუმცა, ეს როდის მოხდება, უცნობია.

სიმეონემ აღიარა, რომ ინტერი განსაკუთრებულად უყვარს და ამ გუნდში გატარებული 3 წელიწადი მისთვის ძალიან ძვირფასია.

მიუხედავად ამისა, სიმეონემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჯერჯერობით მადრიდის ატლეტიკოში მუშაობს და მხოლოდ ამ გუნდზე ფიქრობს.

დიეგო სიმეონე ინტერში 1996-99 წლებში თამაშობდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, რომელსაც კლუბში ყველა პატივს სცემდა.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი; 3. მხარეთა თანასწორობის პრინციპი; 4. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 7. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 9. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 12. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 14. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 15. გემოს შეგრძნების უნარის დარღვევა; 17. ქართული ტელეკომპანია; 20. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად**: 5. საახალწლო ტკბილეული; 6. გურიასა და აჭარაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 10. გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობაში, ცურვაში; 11. დედამიწის თანამგზავრი; 13. სალამანდრისნაირთა ოჯახის წყალხმელეთა ცხოველი; 16. კამერული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 18. შოკოლადის ხე; 19. პურეული მცენარე; 21. ქოთანში მზარდი, მინიატურული, ჩინური დეკორატიული ხე; 22. გულის მუშაობის ერთ-ერთი ფაზა, მოდუნება; 23. ფულის ერთეული მონღოლეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

